2) 26რუპ
603/2 N 15828
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№281 (12 351)
1 დეკემბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

საინტერესო ტური შემოდგომის ფინალამდე
ამერი და ზესტაფონი გლდანში
წინასამატჩო ამბები 2-3

ევროთასები
დღეს:
მილანი VS იუვენტუსი,
ვერდერი VS ჰამბურგი
სამი სამწვრთნელო დებიუტი ინგლისში.
ბარსელონა შურისძიებისთვის ემზადება 5-10

IRB RUGBY WORLD CUP 2011 NEW ZEALAND
მსოფლიო თასზე 20 გუნდი ითამაშებს 11

პორტუგალიას 2 თებერვალს ვმასპინძლობთ 11

ხაბარელი ევროპის საუკეთესო მწვრთნელია 11

ეროვნული ნაკრები

# უელსთან აგვისტო გარკვეულია

## მოლაპარაკებები ჰოლანდიასთან, თურქეთსა და მაკედონიასთან...

დურბანში ჩატარებული წილისყრის შემდეგ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საგაისო ამხანაგურ მატჩებზე ზრუნვა უკვე დაიწყო და შედეგსაც მიაღწია. ჩვენი ინფორმაციით, უელსთან უკვე მიღწეულია შეთანხმება, აგვისტოში გასვლითი სპარინგმატჩის ჩატარებასთან დაკავშირებით. ეს ცნობა გუშინ ფედერაციის გენმდივანმა **უჩა უგულავამ** დაგვიდასტურა: *„დიახ, უელსთან პრაქტიკულად უკვე მოვრიგდით. 18 ან 20 აგვისტოს ამ ნაკრებს სტუმრად ვეთამაშებით. ბრიტანელებთან მოლაპარაკებები გრძელდება და ზუსტი თარიღიც მალე გაირკვევა“.*

უგულავამ სხვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებთან მიმდინარე მოლაპარაკებებზეც გვითხრა: *„საუბარია ჰოლანდიაზე, თურქეთსა და მაკედონიაზე, მაგრამ ჯერ კიდევ გასარკვევია თარიღები და ისიც, თუ სად შევხვდებით ამ ნაკრებებს - შინ თუ სტუმრად“.*

გენმდივანს **კლაუს ტოპმიოლერთან** კონტრაქტის გაგრძელებაზეც ვკითხეთ: *„ხელისშემშლელ ფაქტორს ვერ ვხედავთ - ვერც ჩვენ და ვერც თავად ბატონი კლაუსი. ვფიქრობ, ამ საკითხს დეკემბრის პირველ ნახევარში გადავწვეტთ, და გადავწყვეტთ დადებითად“.*

დაბოლოს, დადგინდა ჩვენი ჯგუფის კალენდარის შესათანხმებელი შეხვედრის ადგილი: *„ამ საკითხშიც გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. 7-9 იანვარს ეს შეხვედრა სოფიაში გაიმართება. იმედი გვაქვს, შეთანხმებას მივაღწევთ“.*

დავით ცაბაძე



# ცქიტიშვილის კონტრაქტი შეთანხმდა

## დღეს, კაიზერსლაუტერნში...

„კაიზერსლაუტერნში“ **ლევან ცქიტიშვილის** მოსალოდნელი ტრანსფერის საქმე, როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება. ჩვენი ინფორმაციით, ნაკრების ნახევარმცველს საუბარი ჰქონდა როგორც გერმანული კლუბის ხელმძღვანელებთან და **კლაუს ტოპმიოლერთან**, ასევე მის ტრანსფერზე მომუშავე ხორვატ აგენტთან. შედეგი სახეზეა: დღეს ცქიტიშვილი გერმანიაში ჩავა.

*„შეიძლება ითქვას, კონტრაქტის პირობებზე წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. 1 დეკემბერს გერმანიაში მივფრინავ. კლუბის ხელმძღვანელებთან კვირას ან ორშაბათს მექნება საბოლოო მოლაპარაკება და კონტრაქტსაც გავაფორმებ. ამ ეტაპზე, საუბარია ორწლინახევრიან ხელშეკრულებაზე, ფორმულით - ნახევარი წელი პლუს კიდევ 2 სეზონი. სხვას, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. კარგი იქნება, თუ ეს საქმე მალე კონტრაქტზე ხელმოწერით დაგვირგვინდება“* - განუცხადა „ლელოს“ ცქიტიშვილმა.

დავით ცაბაძე

# პლატინი და ევრორემონტი

უეფას პრეზიდენტმა რეფორმები დაიწყო 5



FIFA WORLD PLAYER 2007

# კაკა, მესი თუ რონალდო? 6

17 დეკემბერს გაირკვევა







# კაკამ ოქროს ბურთი გაინაღდა

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# შემოდგომის ფინალამდე



**"ამერი"-"ზესტაფონი" ეროვნულ ჩემპიონატს ყოველთვის განსაკუთრებულ ხიბლს სძებს და გამონაკლისი არც დღევანდელი დღე იქნება. პირველი წრე დასასრულს უახლოვდება, გასარკვევი კი ძალიან ბევრია. გლდანში ზესტაფონელები მოსაგებად და ლიდერობის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ, ფრე არც "ამერის" გეგმებში შედის. "დინამო" "ზესტაფონთან" შერკინებისთვის შედარებით მშვიდ ვითარებაში ემზადება...**

### 14:10 ამერი–ზესტაფონი

1 დეკემბერი. თბილისი. ამერი.

#### სავარაუდო შემადგენლობები

ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, დიდავა, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ტატანაშვილი (რ. გოცირიძე)

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, ლობჟანიძე, კ. ჩხეტიანი, ყონატასი, კესანი, რ. ონიანი, ვიეირა, ფიფია, გ. ნოდ. ჭელიძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

"ამერისა" და 'ზესტაფონისთვის" პირველი წრის ბოლო ორ ტურს უპრინციპულესი მნიშვნელობა აქვს. შეგახსენებთ, გლდანელები ამის შემდეგ "ვიტ ჯორჯიას" ხვდებიან, ფეროელები კი "დინამოს". **თემურ მახარაძესა** და მის შეგირდებს ერთპიროვნული ლიდერობის დაკარგვის საფრთხე დღესაც აქვთ, პირველი პოზიციის შესანარჩუნებლად მათ გამარჯვება სჭირდებათ, რაც ბუნებრივია, არცთუ იოლი მისაღწევია. "ამერს" ნაფორხილების უფლება არა აქვს, **გიორგი ჩიხრაძის** გუნდს მხოლოდ სამი ქულა მისცემს ლიდერებთან სხვაობის შემცირების საშუალებას.

შეხსენებას ალარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში "ამერისა" და "ზესტაფონის" დაპირისპირება ქართული ფეხბურთის გამორჩეულ მოვლენად იქცა. ეროვნული თასის ბოლო ორი ფინალში ამ გუნდებმა გულშემატკივარს ლამაზი სანახაობა აჩუქეს.

### 14:00 ვიტ ჯორჯია–მესხეთი

1 დეკემბერი. მცხეთა. არმაზი.

#### სავარაუდო შემადგენლობები

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, მელქაძე, გელაშვილი, სახოკია

დისკვალიფიკაცია: *ბერიაშვილი, მიქაბერიძე*

მესხეთი: სომხიშვილი, ვ. აკოფიანი, გ. ნადირაშვილი, ყვანია, ლეკიშვილი, მ. თაყაძე, გ. თურმანიძე, ძამსაშვილი, ზ. ჩხეტიანი, გვირჯიშვილი, კაიდარაშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე

გლდანში ქულებს ვეტერინართა ერთი ან ორი კონკურენტი დაკარგავს და შესაბამისად, გამარჯვების შემთხვევაში, "ვიტ ჯორჯია" ცხრილის ზედა ნაწილში ადგილს კიდევ უფრო გაიმყარებს. მასპინძლებს ჭიათურის სათასო მატჩში გაძევებული ფეხბურთელები არ ეყოლებათ, მაგრამ ბერიაშვილი და მიქაბერიძე ისედაც სათადარიგოები არიან.

### 14:00 სპარტაკი–ოლიმპი

1 დეკემბერი. გორი. თ. ბურჯანაძე.

#### სავარაუდო შემადგენლობები

სპარტაკი: ქვილითაია, ბახტურიძე, ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი, ჩირიკაშვილი, კ. ავალიანი, თარხნიშვილი, ძარია, გოგოხია, ჯანელიძე

დისკვალიფიკაცია: *ხიდეშელი*

ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, მახვილაძე, აკუასაგა, სილაგაძე, ნავალოვსკი, დვალიშვილი, დევდარიანი, გეწაძე, კახელიშვილი, რ. ჯიქია

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

საკმაოდ დაძაბული და საინტერესო შეხვედრა უნდა გამოდგეს, სადაც ნებისმიერი შედეგი მოსალოდნელია. გორის მთავარ სტადიონზე რამდენიმე დღის წინათ თოვლი იდო, მაგრამ დღეისათვის "ბურჯანაძე" სათამაშოდ ვარგისია. სტადიონის ხელმძღვანელობას ამ დღეებში დიდი ჯაფა ადგას, დღეს ეს თამაშია, მომავალ კვირას კი სუპერთასია.

### 14:00 ბათუმი–ლოკომოტივი

1 დეკემბერი. ბათუმი. ადელი.

#### სავარაუდო შემადგენლობები

ბათუმი: თოთლაძე, ლ. მახარაძე, გალოგრე, თედორაძე, მაკარიანი, კუნჭულია, დემურაძე, ცანავა, ბაციკაძე, დარჩიძე, ბეჟანიძე

ლოკომოტივი: გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ხოხონიშვილი, მალიჩავა, ბარბაქაძე, გულორდავა, სამხარაძე, ყრენტი, იმედაძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

გუნდებს ისეთი სატურნირო მდგომარეობა აქვთ, უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად კონკურენტნეტთან მოპოვებულ თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. "ლოკომოტივი" წინა ტურში "დინამოს" ბოლომდე ებრძოლა, რაც მის წევრებს ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად აძლევს.

### 14:00 დინამო–დილა

2 დეკემბერი. თბილისი. ეროვნული.

#### სავარაუდო შემადგენლობები

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, სპასოევიჩი, აკირემი

დილა: კეჩხუაშვილი, ბალაშვილი, დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, ბალიაშვილი, ნ. ნოზაძე, სადალაშვილი, სულთანიშვილი, შატაკიშვილი, ლ. თურმანიძე, სამადაშვილი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

ამ თამაშის შედეგის პროგნოზირება იოლია. ძნელი წარმოსადგენია, "დილამ" "დინამოს" რეალური წინაალმდეგობა გაუწიოს. თუ "ამერმა" იყოჩაღა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი პირველი საფეხურის დაბრუნებას "ზესტაფონთან" მატჩამდე შეძლებს.

### 14:00 ბორჯომი–მგლები

2 დეკემბერი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი.

#### სავარაუდო შემადგენლობები

ბორჯომი: შეყრილაძე, მემარნიშვილი, თ. ლონღაძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, კ. ხანიშვილი, ნერგაძე, ქარქოზაშვილი, შ. გრიგალაშვილი, შ. ჯიქია, ყველაშვილი

დისკვალიფიკაცია: *აკობია, ბაბუნაშვილი*

მგლები: ივარდავა, ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ქირია, ვართაგავა, ჯოჯუა, კრასოვსკი, ხუბუა, ჭედია

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

წესით, ეს მატჩი დღეს უნდა გამართულიყო, მაგრამ პროფესიული ფეხბურთის ლიგამ თავი დაიზღვია და "ბორჯომის" მესვეურებს მოედნის თოვლისგან გასაწმენდად კიდევ ერთი დღე მისცა. შეხვედრა ორივე გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანია, მასპინძლებს ლიდერთა შორის დარჩენა სურთ, სტუმრებს კი "ოქროს შუალედში" ადგილის გამყარება.

### 14:00 მერანი–სიონი

2 დეკემბერი. თბილისი. მერანი.

#### სავარაუდო შემადგენლობები

მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, გიგაური, თ. კობიაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, კობერიძე, იაგო დეისაძე, ფურთუხია, ლომაშვილი, გოჩაშვილი

სიონი: სტურუა, სვანიძე, ბოიომო, ოქროპირიძე, რაქვიაშვილი, ქურასბედიანი, სანიკიძე, ბაჯელიძე, ქუცურუა, ნადირაძე, ჩასემი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

ეს შეხვედრა "ექვსქულიანთა" კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ. "სიონი" ჩემპიონატს ისევე არასტაბილურად აგრძელებს, როგორც დაიწყო. "მერანი" კი კიდევ უარეს მდგომარეობაშია და თუ ქულათა მარაგი პირველ წრეში ველარ შეივსო, უმაღლესში დარჩენა ძალიან გაუჭირდება. წინა ტურში თბილისური გუნდი სტუმრად "ოლიმპს" რიგიანად გაუძალიანდა და ვინძლო, დღეს მაინც არ დარჩეს ხელცარიელი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 11 | 10 | 1 | 0 | 24-3 | 31 |
| 2. დინამო | 11 | 10 | 0 | 1 | 28-4 | ? |
| 3. ვიტ ჯორჯია | 11 | 8 | 1 | 2 | 19-8 | 25 |
| 4. ამერი | 11 | 7 | 0 | 4 | 20-11 | 21 |
| 5. ბორჯომი | 11 | 6 | 3 | 2 | 13-6 | 21 |
| 6. ოლიმპი | 11 | 6 | 2 | 3 | 11-8 | 20 |
| 7. მესხეთი | 11 | 5 | 2 | 4 | 13-13 | 17 |
| 8. მგლები | 11 | 5 | 0 | 6 | 10-12 | 15 |
| 9. სიონი | 11 | 3 | 2 | 6 | 12-15 | 11 |
| 10. ლოკომოტივი | 11 | 3 | 0 | 8 | 8-18 | 9 |
| 11. სპარტაკი | 11 | 2 | 3 | 6 | 3-12 | 9 |
| 12. მერანი | 11 | 2 | 0 | 9 | 5-22 | 6 |
| 13. დილა | 11 | 1 | 3 | 7 | 7-18 | 6 |
| 14. ბათუმი | 11 | 0 | 1 | 10 | 3-26 | 1 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 7 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| ხუციშვილი (დინამო) | 6 |
| აკირემი (დინამო) | 6 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 6 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 6 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| რ. ჯიქია (ოლიმპი) | 5 |
| [illegible]ედია (მგლები) | 5 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |

ფოლქსვაგენის თასი
გორის, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი
9 დეკემბერი
2007
ოლიმპი
ამერი
pfl.ge
დასაწყისი: 13:00
ფოლქსვაგენი VOLKSWAGEN
ჯეოსელი GEOCELL
აქსისი
დეველოპერული კომპანია
საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA
საინფორმაციო მხარდაჭერა
ფორტუნა 106.9 FM FORTUNA
სარბიელი
ოლიმპი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა





ტურის მატჩი. ამერი-ზესტაფონი

# ამერ-იმერი დინამოსთვისაც საინტერესოა

## შემტევი და დამცველი მოედანზე გამოჩნდება

„ამერის“ და „ზესტაფონის“ თამაში არ არის პატარა ამბავი. მათი დაპირისპირება უკვე ძალიან ეშხიანი გახდა. ბოლო ორი წელიწადია, საქართველოს თასის ფინალში ეს გუნდები ხვდებიან და ორივეჯერ ამერელებმა იმარჯვეს.

ახლა კი „ზესტაფონი“ ჩემპიონატის ლიდერია და „ამერი“ მას ათი ქულით ჩამორჩება. „ამერი“-„ზესტაფონის“ დღევანდელი შეხლა, რა თქმა უნდა, „დინამოსთვისაც“ ძალიან მნიშვნელოვანია.

„ლელოს“ კითხვებს ამერელთა მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე და ზესტაფონელთა მეკარე გია ჭანტურია პასუხობენ.

### გიორგი ჩიხრაძე:

- ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის, „ზესტაფონი“ ლიდერია, თანაც ჯერ არავისთან წაუგია. „ამერმა“ ბევრი გაუთვალისწინებელი ქულა დაკარგა და ახლა მაქსიმალურად ვცდილობთ დანაკარგის ანაზღაურებას.

**- „ზესტაფონი“ ათი ქულით გისწრებთ. როგორ ფიქრობთ, ქულებს შორის სხვაობა ძალთა თანაფარდობას არ ასახავს?**

- არა მგონია, რომ განსხვავება ქულებში ამ კონკრეტულ მომენტში ძალთა თანაფარდობას ასახავდეს. ჩვენ უბრალოდ, ცუდი სტარტი გვქონდა.

**- „ზესტაფონს“ წლევანდელი თასის ფინალში დაცვითი ტაქტიკით მოუგეთ. ახლა ეცდებით იმის დამტკიცებას, რომ „ამერს“ „ზესტაფონთან“ სხვა ტაქტიკითაც შეუძლია წარმატების მიღწევა?**

- როცა ტაქტიკას ირჩევ, შენი და მეტოქის პლუს-მინუსები კარგად უნდა აწონ-დაწონო. ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, თუმცა შევეცდებით, მეტოქეს სიურპრიზი შევთავაზოთ. ცხადია, სიურპრიზს „ზესტაფონისგანაც“ ველით.

**- ანუ, დაცვით ვარიანტს არ აირჩევთ?**

- თამაშამდე ამის თქმა არ მსურს. გეტყვით იმას, რომ „ამერის“ ტაქტიკა არ იქნება გამოკვეთილად დაცვითი და გამოკვეთილად შემტევი.

**- „ამერი“ შინ თამაშობს. მიგაჩნიათ, რომ ეს მცირე უპირატესობას გაძლევთ?**

- ყოველ საშინაო მატჩზე იმ განწყობით გავდივართ, რომ გულშემატკივარი გავახაროთ და ჩვენც ვიგრძნოთ, რომ შინ ვთამაშობთ. ამ ჩემპიონატში შინ „დინამოსთან“ კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ცუდი მაგალითის გამეორებას არ ვაპირებთ. „ამერი“-„ზესტაფონის“ მატჩში შანსები თანაბარია, თუმც შინ რომ ვთამაშობთ, გარკვეულ ფსიქოლოგიურ უპირატესობას გვაძლევს.

**- „ზესტაფონთან“ მატჩს მნიშვნელოვანი დანაკარგით ხვდებით...**

- ვახტანგ ხვადაგიანი კოჭის ტრავმის გამო გამოგვაკლდა, სულიკო დავითაშვილს კი კუნთი აქვს დაჭიმული და ისიც ვერ ითამაშებს.

**- „ამერი“ ალბათ თასის გარდა ჩემპიონობაზეც ფიქრობს და ეს თამაში თუ ვერ მოიგო...**

- მასეა, ჩვენთვის ახლა ყველა თამაში ფინალივითაა, რადგან ბევრი ქულა დავკარგეთ.

### გია ჭანტურია:

- იმედი მაქვს, რომ „ამერთან“ მატჩში ჩვენი წაუგებელი სერია გაგრძელდება. „ამერს„ „ზესტაფონთან“ სათასო მატჩებში კი აქვს წარმატებები, მაგრამ ეს ჩემპიონატის თამაშია.

**- „ამერს“ დავითაშვილი არ ეყოლება. როგორ ფიქრობ, ეს შელავათს არ გაძლევთ?**

- „აბრეზა“ ამერელთა ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, განსაკუთრებით ძლიერად თამაშობს საშინაო მატჩებში, თუმცა „ამერი“ უფრო მაინც გუნდურ ფეხბურთს თამაშობს.

**- წლევანდელი თასის ფინალში „ამერელმა“ შემტევი ტაქტიკა აირჩია და 0:1 წააგეთ. ეს ალბათ ჭკუის სასწავლებელი იყო თქვენთვის...**

- ასე არ ვიტყოდი, უბრალოდ, ჩვენ გვეგონა, რომ მეტოქეზე ძლიერი ვიყავით და შემტევი ტაქტიკა ამიტომ ავირჩიეთ. ახლა კი ჯერ არ ვიცით, რა ტაქტიკით ვითამაშებთ, ამას მწვრთნელი თამაშის დღეს გვეტყვის.

**- „ამერის“ შემდეგ „დინამოსთან“ გიწევთ თამაში...**

- სასიხარულოა, რომ „ზესტაფონის“ თამაში ყველასთვის დიდ ინტერესს იწვევს. „ამერი“ და „დინამო“ - თუ ამ ორ შეხვედრაში წარმატებას მივაღწევთ, ჩემპიონობისთვის სერიოზულ განაცხადს გავაკეთებთ.

**- „ამერთან“ მატჩზე ზესტაფონიდან ელით გულშემატკივრების ჩამოსვლას?**

- ვიცი, რომ ზესტაფონიდან ჩამოვლენ ქომაგები, თუმცა რამდენი, ვერ გეტყვით. ისე „ზესტაფონს“ გულშემატკივრები თბილისშიც ჰყავს.

დავით თავართქილაძე

U19. ევრო 2009. წილისყრა

# საქართველო, ჩეხეთი, კვიპროსი და დანია

კანში, უეფას ბავშვთა და ჭაბუკთა კომიტეტის მორიგი კონგრესი და 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა. საქართველოდან კონგრესში მონაწილეობა მიიღო ბავშვთა და ჭაბუკთა კომიტეტის ხელმძღვანელმა **ირაკლი ოყრომიძემ**, წილისყრას კი მასთან ერთად თამაზ ბოკერიაც დაესწრო.

19-წლამდელთა შორის წილისყრის შედეგად საქართველო მე-7 ჯგუფში მოხვდა, მეტოქეებად კი ჩეხეთის, კვიპროსისა და დანიის ნაკრებები ერგო. წილისყრის შემდეგ, კანში მყოფ ქართველებთან გასაუბრებას შევეცადეთ და თამაზ ბოკერიას დავუკავშირდით.

*“წილისყრის დასრულებისთანავე მქონდა საუბარი ჰაინც ტოპმიოლერთან. მეტოქეები უკვე გარკვეულია და მალე მათზე ინფორმაციების შეგროვებას დავიწყებთ. პარარელურად გუნდის ამხანაგურ მატჩებსა თუ შეკრებებსაც დავგეგმავთ. თუმცა 19-წლამდელთა ნაკრების წევრები როგორც ქართული, ასევე უცხოური კლუბების მთავარ გუნდებში ასპარეზობენ და მიმდინარე სეზონის მეორე წრის კალენდრების გარკვევამდე ძნელი იქნება ამხანაგური მატჩების დაგეგმვა. მანამდე კი შემიძლია გითხრათ, რომ ამხანაგური მატჩების ორგანიზებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები გვაქვს რამდენიმე ქვეყნის ფედერაციასთან”,* - “ლელოსთან” საუბარში აღნიშნა თამაზ ბოკერიამ.

პირველ შესარჩევ ციკლიდან მომდევნო, ელიტრაუნდში ორი საუკეთესო გადის. შესარჩევი ეტაპის მატჩები გაისად, 2008 წლის ნოემბერში დაიწყება. ჩვენი ჯგუფის მატჩებს კვიპროსი უმასპინძლებს, თამაშები 22, 24 და 27 ნოემბერს გაიმართება. 2009 წელს 19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს კი უკრაინა უმასპინძლებს.



ჰაინც ტოპმიოლერი

სხვა ჯგუფებში მეტოქეები ასე გადანაწილდნენ.

I ჯგუფი: **შოტლანდია, უნგრეთი, აზერბაიჯანი, სან მარინო.**

II ჯგუფი: **ხორვატია, ბელგია, ესტონეთი, ყაზახეთი.**

III ჯგუფი: **იტალია, რუსეთი, ლატვია, მოლდოვა.**

IV ჯგუფი: **ირლანდია, საფრანგეთი, მალტა, ლიხტენშტაინი.**

V ჯგუფი: **სლოვაკეთი, ნორვეგია, სომხეთი, სლოვენია.**

VI ჯგუფი: **გერმანია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, ლიტვა.**

VIII ჯგუფი: **შვედეთი, ავსტრია, ისლანდია, მაკედონია.**

IX ჯგუფი: **სერბეთი, ინგლისი, ჩრდ. ირლანდია, ალბანეთი.**

X ჯგუფი: **საბერძნეთი, პოლონეთი, ბოსნია, ჩერნოგორია.**

XI ჯგუფი: **თურქეთი, რუმინეთი, ანდორა, უელსი.**

XII ჯგუფი: **ისრაელი, პორტუგალია, ფინეთი, ბულგარეთი.**

XIII ჯგუფი: **შვეიცარია, ესპანეთი, ბელარუსი, ფარერები.**

დავით ცაბაძე

U17. ევრო 2009. წილისყრა

# მოსაგებად უნგრეთში ვიბრძოლებთ

## საქართველოს ჯგუფში ჩეხეთი, ბოსნია და უნგრეთი დაუპირისპირდებიან

კანშივე გაიმართა 17-წლამდელთა შორის ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის წილისყრა. 19-წლამდელთა დარად, 17-წლამდელთა ერთ-ერთი მეტოქეც ჩეხეთია. მე-3 გუფში საქართველოსთან ერთად მოხვდნენ უნგრეთი და ბოსნია. აქაც ჯგუფიდან ელიტრაუნდში ორი გუნდი გადის. ასე რომ **ჰერბერტ ცანკერის** გუნდს დიდი ბრძოლა მოუწევს. 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 2009 წელს გერმანიაში გაიმართება.

*“ჰერბერტ ცანკერმა უკვე დაიწყო იმ გუნდის მომზადება, რომელსაც გაისად შემოდგომაზე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს ასპარეზობა. 1992 წელს დაბადებულთა ნაკრებმა, ცანკერის ხელმძღვანელობით 4 ამხანაგური მატჩი უკვე გამართა რუსეთთან, ორი შინ და ორიც სტუმრად. ამ ნაკრების მზადების პროცესის დაგეგმვა უფრო იოლია და ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯებიც გადავდგით. ცანკერის გუნდი დეკემბრიდანვე შეუდგება მომზადებას”,* - გვითხრა ბოკერიამ.

მისივე თქმით, 3 დეკემბერს ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიაში გაემგზავრება. იქ გუნდი პორტუგალიელ თანატოლებთან 4 და 6 დეკემბერს ამხანაგურ მატჩებს გამართავს, 7-ში კი უკან გამოემგზავრება. ამას გარდა, გაისად მარტში გასვლითი ამხანაგური თამაშებისთვის უკვე შედგა წინასწარი მოლაპარაკებები და ახლა მხოლოდ თარიღებია გასარკვევი. აპრილში სავარაუდოდ ბულგარეთში მოუწევს სტუმრობა ჩვენ გუნდს. 27 და 29 მაისს კი ცანკერის ბიჭები რუმინეთში, ადგილობრივ თანატოლებს გაეჯიბრებიან.

17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მატჩები, 22, 24 და 27 სექტემბერს უნგრეთში გაიმართება. იქამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენი გუნდი მოსამზადებლად გერმანიას გაემგზავრება და 16 სექტემბერს ლუქსემბურგელ თანატოლებთან ჩაატარებს დასკვნით ამხანაგურ შეხვედრას.

სხვა ჯგუფებში მეტოქეები ასე გადანაწილდნენ.

I ჯგუფი: **ჩრდ. ირლანდია, ბელგია, ლიხტენშტაინი, ავსტრია.**

II ჯგუფი: **რუმინეთი, ისრაელი, დანია, ლიტვა.**

IV ჯგუფი: **უელსი, პორტუგალია, ფარერები, ყაზახეთი.**

V ჯგუფი: **საბერძნეთი, ირლანდია, ანდორა, ლუქსემბურგი.**

VI ჯგუფი: **ხორვატია, სერბეთი, შვედეთი, მოლდოვა.**

VII ჯგუფი: **შვეიცარია, უკრაინა, ისლანდია, ნორვეგია.**

VIII ჯგუფი: **აზერბაიჯანი, პოლონეთი, ბულგარეთი, ჩერნოგორია.**

IX ჯგუფი: **ჰოლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია.**

X ჯგუფი: **ფინეთი, ბელარუსი, ალბანეთი, მაკედონია.**

XI ჯგუფი: **საფრანგეთი, შოტლანდია, სლოვაკეთი, სან მარინო.**

XII ჯგუფი: **თურქეთი, რუსეთი, სლოვენია, მალტა.**

XIII ჯგუფი: **ინგლისი, ესპანეთი, სომხეთი, ესტონეთი.**

დავით ცაბაძე

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ გოჩა ხოჯავასთან

# არავის არაფერს ვუმტკიცებ

## ხოჯავა პრემიერლიგისთვის ემზადება

გოჩა ხოჯავამ დარდიმანდული წარსული გვერდზე გადადო და როგორც ამბობს, დაოჯახებამ აბსოლუტურად შეცვალა. მოკლედ, ძველი გოჩა აღარაა. ეტყობა კიდეც, ნიჭი კი არასდროს აკლდა. თამამად შეიძლება ითქვას გიორგი ქინქლაძის შემდეგ, ასეთი ნიჭიერი ერთი ხოჯავა დაიბადა და მერე ლევან ყენია.

გოჩა დღეს ჩვენი რესპონდენტია და გვესაუბრება, აპირებს თუ არა მახაჭყალის „ანჟიში" დარჩენას, რა გეგმები გააჩნია და როგორ აფასებს საქართველოს ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივას...

**- გოჩა, მახაჩკალის „ანჟიში" თამაში შენთვის წლის დასაწყისში სასურველიც იყო, რუსეთში დაბრუნდი და იქაურ ფეხბურთში დამკვიდრდი. რა იქნება მომავალ სეზონში, ისევ „ანჟი"?**

- უკვე გადავწყვიტე, რომ ერთი წელი ისევ „ანჟიში" დავრჩები.

**- უკეთეს გუნდში არ გიწვევენ? ძალიან გულდასაწყვეტი რამ გვითხარი...**

- ასე არაა საქმე. ველაპარაკე პრეზიდენტს ჩემს მენეჯერთან და ომარ თეთრაძესთან ერთად. მან მითხრა, რომ ახალი სეზონიდან „ანჟიში" დიდი თანხა ჩაიდება, პრემიერლიგაში გადასასვლელად აუცილებლად ვიბრძოლებთ და შემდეგ სეზონში ძალიან დაგვჭირდებიო. მეც დავთანხმდი, კიდევ ერთი წელი არ მაწყენდა, უფრო გავძლიერდები და პრემიერლიგაში, ანდა, სხვა ძლიერ ლიგაში გაცილებით იოლად ვითამაშებ.

სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე მესაუბრა პრეზიდენტი, რადგან პრემიერლიგის გუნდებში მიწვევდნენ და წასვლას ვაპირებდი. ორი გუნდი აქტიურობდა.

**- მახსოვს, სექტემბერში თქვი, 2008 წლიდან „სატურნში" ვითამაშებო.**

- დიახ, ეს გუნდი ვიგულისხმე.

**- „ანჟი" პრემიერლიგაში რომ ვერ გადავიდეს, გული არ დაგწყდება? ვერავინ მოგცემს იმის გარანტიას, რომ გუნდი წარმატებას აუცილებლად მიაღწევს. მოკლედ, ერთი წელი, შეიძლება, დაკარგო.**

- მე თავზე ვერ გადავახტი მენეჯერს და ომარ თეთრაძეს და არც გადავახტები. თუკი „ანჟი" პრემიერლიგაში ვერ დაბრუნდება, მაშინ კონტრაქტი ავტომატურად შეწყდება. როდესაც კონტრაქტი მაქვს, ასე იოლად ვერ გადავალ. 2-3 მილიონად რომ შემაფასონ, ვინ მიყიდის? ისე, „ანჟის" დიდი გეგმები რომ არ ჰქონდეს, აშვეთიას და აბრამიძეს არ შეიძენდნენ.

**- 2-3 მილიონად გაფასებენ?!**

- არა, ეს სიტყვაზე ვთქვი, თუმცა, იაფად ნაღდად არ გამყიდიან.

**- რუსული ფეხბურთი, თანაც პირველი ლიგის მორბენალთა ფეხბურთი ტექნიკურ მოთამაშეს მოგწონს? როგორ შეეგუე?**

- კმაყოფილი ვარ, რადგან ეს არის რთული პირველობა და მაღალი დონის ფიზიკური მომზადებაა საჭირო. თავიდან ძალიან გამიჭირდა, ეს დასამალი არაა. თეთრაძე მესაუბრა, დამამშვიდა, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ადაპტაცია გჭირდებაო.

მერე მივხვდი, რომ რუსული ფეხბურთი კი არ იყო საჭირო, არამედ იქ ჩემი თამაში უნდა მეჩვენებინა. ამისთვის წამიყვანა თეთრაძემ და მართალიც ვყოფილვარ, მწვრთნელს, პრეზიდენტს და გულშემატკივარს ასეთი მოვეწონე.

**- მთელი სზეონი მაინც ვერ ჩაატარე. თურმე, ორთვენახევარი რუსეთის ვიზას არ გაძლევდნენ.**

- ეს მთლად რუსეთის საკონსულოს ბრალიც არაა. ცუდად ვიყავი, დარჩენა მომიხდა, მერე დარღვევა იყო ვიზაში და ასე გაგრძელდა ლამის სამი თვე. ეს არ ნიშნავს, რომ ვიზას არ მაძლევენდნენ. თუმცა ამ გაცდენამ ფორმიდან ამომაგდო.

**- ომარ თეთრაძე ახსენე „ანჟის" პერსპექტივებზე საუბრის დროს. გამოდის, ის გუნდში რჩება და ჯანმრთელადაა.**

- დიახ, კარგადაა. თავიდან ექიმებს ეგონათ, რომ C ჰეპატიტი ჰქონდა, მაგრამ ხელმეორე ანალიზებმა ეს დასკვნა გააბათილა. ომარი ჯანზეა და მუშაობას გააგრძელებს.

**- გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს აბრამიძეს „ანჟიდან" აზერბაიჯანში დაბრუნება შესთავაზეს.**

- არ დაიჯეროთ. ვალერიმ და მიშა აშვეთიამ „ანჟისთან" კონტრაქტი 2008 წლის ბოლომდე გააფორმეს. ზურა არზიანს დაუმთავრდა, მაგრამ მას ახალი შესთავაზეს.

**- შარშან ამ დროს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს შენი თამაში „ოლიმპში" ჰაინც ტოპმიოლერმა ნახა და ეროვნულში რეკომენდაციას გიწევდა. თუმცა ხმები ხმებად დარჩა.**

- მოდით, მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვისაუბროთ. შარშან მე ძალიან ცუდი ხმები გამივრცელეს, გუნდის ამრევი, უდისციპლინო, უხასიათო და ყველანაირი ცუდის ჩამდენიაო. სამწუხაროდ, აქ ცუდის დაჯერება უყვართ და მეტი რა უნდოდათ? რომელ ნაკრებზეა საუბარი, საგინებელი გამხადეს.

მე არავის არაფერს ვუმტკიცებ, უპირველესად საკთარ თავს უნდა დავუმტკიცო, რომ დიდი ფეხბურთის თამაში შემიძლია. მერე თვალებს ვერავინ დახუჭავს. მე ხომ ვიცი, რომ მაგარი შეცვლილი ვარ, მონდომებულიც.

ნაკრების შტაბიდან ინტერსი ადრე მართლა იყო. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ჰაინც ტოპმიოლერმა მნახა. ჰაინცი რეზო არველაძის დახმარებით მესაუბრა, შენნაირი ნიჭიერი საქარველოში კი არა, გერმანიაშიც არ მეგულება, კლაუსს შენზე აუცილებლად ვესაუბრებიო.

მერე რა მოხდა, წარმოდგენა არ მაქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ლადო ბურდულთან

# სატრანსფერო მატარებელმა ჩაიარა

ერთ-ერთ უკრაინულ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ლუგანსკის „ზარიას" შუახაზელ ლადო ბურდულთან. 27 წლის ბურდულს ბოლო სანაკრებო მატჩებში კლაუს ტოპმიოლერი არ იძახებდა, თუმც უკრაინაში ბურდულს აფასებენ და რომ არა ინტერესი მის მიმართ, არც გამოქვეყნდებოდა საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ მასთან, რომელსაც შემოკლებული ვარინატით გთავაზობთ.



მიეცემა ლადო ბურდულს (8) ირლანდიასთან კიდევ ერთხელ თამაშის შანსი?

**- თქვენი პირველი მწვრთნელი ატილა ვიხრი იყო - რამ ჩაიყვანა უნგრელი თბილისში?**

- ის თბილისში სწავლობდა, იცავდა დისერტაციას თემაზე „ბავშვთა ფეხბურთი". მისგან მივიღე პირველი საფეხბურთო გაკვეთილები. ჩვენს გუნდს კი „ვაკე" ერქვა.

**- პროფესიულ დონეზე თამაში როდის დაიწყეთ?**

- 15 წლისა უკვე თბილისის „დინამოს" მეორე გუნდში გადავედი. „დინამოს" პირველ გუნდში კი დავით ყიფიანმა გადამიყვანა - მაშინ თითქმის 17 წლის ვიყავი. კარგად მესმოდა, რამდენად ფასეული იყო ასეთ გუნდში მოხვედრა - ქინქლაძე, ჯამარაული, არველაძე, დემეტრაძე... ასეთი თაობა თამაშობდა 90-იანი წლების „დინამოში". აქ გატარებული წლები ჩემთვის კარგად მოსაგონარია. 17 წლისა უკვე საქართველოს ჩემპიონი გავხდი, „დინამოში" დავიწყე პროფესიული კარიერა.

**- მერე კი დადგა დრო, როცა თბილისის „დინამოდან" კიევის „დინამოში" გადასვლა გადაწყვიტე...**

- კიეველები თანამეგობრობის თასზე თამაშის დროს დაინტერესდნენ ჩემით, გუნდს მაშინ მიხაილიჩენკო წვრთნიდა. კიევის „დინამოში" საქმე კარგად არ წამივიდა - შეკრებაზე ფეხი მოვიტეხე და ექვსი თვე გამიცდა.

**- უკრაინაში მაინც წამოხვედი. „ზარიამდე" „კრივბასში" იყავი და მაშინაც შენი მწვრთნელი კოსევიჩი იყო...**

- ის ძალიან კარგი სპეციალისტია, სამწვრთნელო პროცესი საინტერესოდ მიყავს, მასთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა. ყოველთვის შეუძლია საერთო ენის გამოძებნა ფეხბურთელებთან. ის ზომიერად მკაცრია, იცის, როდის იხუმროს და როდის იყოს სერიოზული.

**- უკრაინას გარდა გქონდა სხვა ქვეყანაში წასვლის ვარინატი?**

- როცა ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, გამომიჩნდა შანსი, „მანჩესტერ სიტიში" მივსულიყავი. ძალიან მინდოდა, ძლიერ გუნდში თამაში. სხვა ვარიანტზეც დავფიქრდი და ამასობაში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, როგორც იტყვიან, მატარებელმა ჩაიარა.

**- ფეხბურთელობის შემდეგ რას აპირებ?**

- ნაღდად ვიცი, რომ ისევ ფეხბურთში დავრჩები. მსურს, მწვრთნელობაშიც მოვსინჯო ძალა.

**- „ზარიაში" ყველაზე უფრო ვისთან მეგობრობ?**

- ლუცენკოსთან და ჩემს თანამემამულე, ციმაკურიძესთან.

**- უკრაინული კერძებიდან რომელს ამჯობინებ?**

- ძალიან მიყვარს პელმენები, ბორშჩი და სალა. ალკოჰოლური სასმელებიდან ღვინოს ვამჯობინებ, თამაშის შემდეგ ხანდახან ცოტა ვისკისაც მივირთმევ.

**- შენ თვითონ თუ ამზადებ რაიმე კერძს?**

- მწვადს.

**- მოგვიყევი შენს ოჯახზეც.**

- ორი ბიჭი მყავს, უფროსი ხუთი წლისაა, უმცროსი - სამის. მყავს შეყვარებული და იმედი მაქვს, რომ მალე დავქორწინდებით. საერთოდ, არ მიყვარს რაღაცის დაგეგმვა, რაც არის, ისე იქნება. ბავშვები ახლა ჩემთან, ლუგანსკში არიან.

**- თავისუფალ დროს აქ როგორ ატარებ?**

- ოჯახთან ერთად ვსეირნობ, დავდივართ საციგურაო მოედანზე.

**- გინდა, რომ შენი შვილებიც ფეხბურთელები გახდნენ?**

- უფროსს ფეხბურთი არ აინტერესებს, უმცროსი კი სულ ბურთს დასდევს. მსურს, რომ ერთ-ერთი მაინც გაჰყვეს მამის კვალს.

**- როგორი გოგოები მოგწონს? გჯერა სიყვარულის?**

- არ მჯერა ერთი ნახვით შეყვარების. საჭიროა ადამიანთან ურთიერთობა, სიყვარული ხომ პირველ რიგში ურთიერთობაა. მე ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, მომწონს უბრალო, ჭკვიანი და რა თქმა უნდა, სიმპათიური გოგოები. როგორც ამბობენ, მთავარია, კარგი ადამიანი იყოს.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფა. განახლებული ტურნირები

# ახალი ჩემპიონთა ლიგა 2009 წლიდან

## იცვლება უეფას თასიც, ინტერტოტო კი უქმდება...

2009-10 წლების სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის ფინალი შაბათობით გაიმართება. შაბათის პირველ ფინალს „უემბლი", „ალიანს არენა", „მესტალია", „სანტიაგო ბერნაბეუ" ან ბერლინის „ოლიმპიაშტადიონი" უმასპინძლებს. გაუქმდება ინტერტოტოს თასი. უეფას თასის ფორმატი კი შეიცვლება. შეიცვლება ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის წესიც. უეფამ ცვლილებები გუშინდელ აღმასკომზე განიხილა. ჩემპიონთა ლიგის ფინალის გადატანა **მიშელ პლატინის** დიდი ხნის გეგმა იყო. უეფას პრეზიდენტს ამ საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა ათენის წლევანდელმა ფინალმა ჩააგონა. მოსიე მიშელმა თქვა, რომ ათენური მატჩისას სტადიონზე თითქმის ვერ ნახა ბავშვები და დედები. ოთხშაბათის ღამე სტადიონზე წასასვლელად მოუხერხებელი დრო იყო. თუ თამაში შაბათს ჩატარდება, მაშინ ფეხბურთს შეუძლია, ოჯახურ ზეიმად იქცეს. ასეთია ფრანგი ჩინოვნიკის პოზიცია. 2010 წელს წერტილი დაესმება ტრადიციას, რომლის თანახმად ჩემპიონთა თასის ფინალი მისი დაარსების დღიდან (1955=56 წლების სეზონში) შუა კვირაში იმართებოდა ხოლმე.

პლატინისავე ინიციატივით, ჩემპიონთა ლიგაში ადგილების მოზრდილი წილი უბოძეს იმ ქვეყნების გუნდებს, რომელთაც უეფას რეიტინგში მაღალი ადგილი არ უჭირავთ. თუმცა რეიტინგის სამ საუკეთესო ქვეყანას (დღეისათვის ასეთები არიან ესპანეთი, იტალია და ინგლისი) ლიგის ჯგუფურ ტურნირში სამი ავტომატური საგზური შეხვდება, ნაცვლად დღევანდელი ორისა. ტურნირის უმთავრესი სიახლეა ორად გაყოფილი საკვალიფიკაციო ეტაპი. ცვლილები მიზნად ისახავს, 40 დაბალრეიტინგიანი ქვეყნის ჩემპიონიდან ხუთის ევროპულ ლიგაში თამაშს. ცალკე საკვალიფიკაციო ბადე გაკეთდება რეიტინგში 15 საუკეთესო ქვეყნის 15 არაჩემპიონი გუნდისათვის, რომელთაგან ხუთი საუკეთესო ასევე მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის უფლებას. ხსენებული ათი კლუბი (ხუთი ერთი და ხუთი მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფიდან) შეუერთდება 22 კლუბს, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში ავტომატურად მოხვდებიან. ამგვარად, 2009 წლიდან ლიგაში უფრო მეტი ჩემპიონი კლუბი ითამაშებს, ვიდრე დღეს. სიახლეა ტურნირის მერვედფინალის ოთხ კვირად გამართვაც. დღეს მერვედფინალის რვა შეხვედრა ორკვირიანი შუალედით იმართება. ამ რვა თამაში ოთხ კვირაზე განაწილება იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი პირდაპირი ტრანსლაცია გაიყიდება. შესაბამისად მოიმატებს შემოსავალიც.

ზემოთ უეფასა და ინტერტოტოს თასის ფორმატებში დაგეგმილი ცვლილებები ვახსენეთ. 2009 წლის ზაფხულიდან ინტერტოტო გაუქმდება. გუნდები, რომლებიც ამ ტურნირში მონაწილეობდნენ, უეფას შეცვლილ საკვალიფიკაციო გათამაშებაში ჩაებმებიან. უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე. შეიქმნება ოთხი გუნდისაგან დაკომპლექტებული 12 ჯგუფი. თითოეული ჯგუფიდან ორი საუკეთესო კლუბი ფლეი ოფში გააგრძელებს ასპარეზობას. იქ მათ ჩემპიონთა ლიგის რვა მესამეადგილოსანი შეუერთდება. უეფას თასის ფინალები კვლავ ოთხშაბათობით გაიმართება. პლატინის აზრით, ერთი ფინალის შაბათს გადატანა საკმარისია.



მიშელ პლატინი ცვლილებებით კმაყოფილია

ბარსელონა

# რაიკაარდი სეზონის ბოლოს წავა?

## დიარიო ასის სენსაციური ინფორმაცია



ფრანკ რაიკაარდი ახალი სამსახურის ძებნას იწყებს

დაახლოებით ერთი წლის წინ ხმა გავრცელდა, **ფრანკ რაიკაარდი** ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მის გახანგრძლივებას აღარ ისურვებს და „ბარსელონას" დატოვებსო. ამ თემასთან დაკავშირებით იმდენი სტატია გამოქვეყნდა და იმდენი გადაცემა მომზადდა, რომ ბატონ ფრანკს ყველაფერი ყელში ამოუვიდა და საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჩემს ჯადოსნურ სარკეს ჯერ-ჯერობით უჭირს მიწინასწარმეტყველოს მომავალში რა ბედი მელისო. როგორც ჩანს, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცავალა. კატალონიელებს გასული სეზონის წარუმატებლობით გამოწვეული ტკივილი ჯერაც არ განელებიათ, ამას წლევანდელი უსახური მატჩები და დაკარგული ქულებიც დაემატა. „დიარიო ასის" კორესპონდენტმა კატალონიური გრანდის მთავარი მწვრთნელის ერთ-ერთი ასისტენტისგან სენსაციური ინფორმაცია შეიტყო. მადრიდული გაზეთის მტკიცებით რაიკაარდმა თანაშემწეს უთხრა, სჯობს მენეჯერები დაასაქმოთ და ახალი კლუბი მოანახინოთ, რადგან „ბარსელონაში" დარჩენას აღარ ვაპირებო. დიახ, „დიარიო ასი" სრული სერიოზულობით გვამცნობს, რომ ბატონი ფრანკი მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე კატალონიურ გრანდს საკუთარი ნებით დატოვებს. შესაძლოა, მოვლენები ისე განვითარდეს, რომ რაიკაარდმა „კამპ ნოუზე" სეზონის ბოლომდე მუშაობა ვერ შეძლოს. მოგეხსენებათ, კლუბის ხელმძღვანელობამ მას ულტიმატუმი წაუყენა, რომელიც 22 დეკემბრამდე ჩასატარებელი მატჩების მოგებას ეხება. იმ შემთხვევაში, თუ საშობაო არდადეგებამდე ბარსელონელები თამაშის ხარისხსა და შესაბამისად შედეგს არ გააუმჯობესებენ ჰოლანდიელს კარისკენ მიუთითებენ.

რაიკაარდს კონტრაქტის ვადა 2009 წლის 30 ივნისს ეწურება, თუმცა ცნობილი გახდა, რომ ამ ხელშეკრულების გაწყვეტა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, მხარეები უფლებამოსილები არიან, თანამშრომლობა პირადი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს გაწყვიტონ. ამასთან, მხარეები საკომპენსაციო თანხის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან. ერთი სიტყვით, თუ საჭიროება მოითხოვს განქორწინება უმტკივნეულო იქნება... თუმცა ვერ ვიტყვით, რომ უხმაუროც. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით არაფერია გარკვეული, მთავარი მწვრთნელის შესაძლო წასვლას არაერთმნიშვნელოვანი გამოხმაურება მოჰყვა. გულშემატკივრების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბატონი ფრანკის აბარგება „ბარსას" კარგ სამსახურს გაუწევს, თუმცა ისეთებიც მრავლად არიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ რაიკაარდის წასვლა არაფრით შეიძლება, რადგან გუნდის შესაძლებლობებს მასზე კარგად არავინ იცნობს, ამ ადამიანმა „კამპ ნოუზე" მრავალი წელი გაატარა და შესაძლებლობები ჯერ არ ამოუწურიაო. რაიკაარდის მხარდამჭერები „ბარსელონის" ოფისში ათასობით წერილს აგზავნიან და მოითხოვენ, რომ ხელმძღვანელობა მთავარ მწვრთნელს გაუფრთხილდეს და მუშაობისთვის კიდევ უფრო კარგი პირობები შეუქმნას.

ინგლისი. პრემიერლიგა. XV ტურის წინ

# სამი სამწვრთნელო დებიუტი

**დღეს**

**ჩელსი-ვესტ ჰემი**
**ბლექბერნი-ნიუკასლი**
**პორტსმუთი-ევერტონი**
**რედინგი-მიდლსბრო**
**სანდერლენდი-დერბი**
**ვიგანი-მანჩესტერ სიტი**
**ასტონ ვილა-არსენალი**

**ხვალ**

**ლივერპული-ბოლტონი**
**ტოტენჰემი-ბირმინგემი**

**ზეგ**

**მანჩესტერ იუნ.-ფულჰემი**

„არსენალს" საკადრო პრობლემები აქვს. მას „ასტონ ვილასთან" ურთულესი მატჩი ელის. **ფრანსესკ ფაბრეგასი** „სევილიასთან" შეხვედრისას (1:3) დაშავდა. ის დღეს ვერ ითამაშებს. **გაელ კლიშის** ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. **ალექსანდრ გლებს** მუხლი აწუხებს. **რობინ ვან პერსისაც** მუხლის ტრავმა აქვს და ისვენებს. „სევილიასთან" მატჩის გამოტოვების შემდეგ **ვილიამ გალასი** და **ემანუელ ადებაიორი** ძირითადში ბრუნდებიან. „ასტონ ვილას" ნახევარმცველი **ნაიჯელ რეო კოკერი** დააკლდება. გამოჯანმრთელდა საუკეთესო ბომბარდირი **გაბრიელ აგბონლაორი**, აგრეთვე ნახევარმცველი **სტილიან პეტროვი**. ბირმინგემელები პრემიერლიგაში ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას უმიზნებენ.

„მანჩესტერ იუნაიტედს" **უეინ რუნი** უბრუნდება. „ეშმაკები" „ფულჰემს" ორშაბათს შეხვდებიან. რუნის ტერფის ტრავმის გამო ოთხი კვირა გაუცდა. მან ხორვატიასთან ის ავადსახსენებელი თამაშიც გამოტოვა (საერთო ჯამში, „მანჩესტერის" სამი და ინგლისის ორი მატჩი გაუცდა). სანამ დაშავდებოდა, უეინს ზედიზედ შვიდ თამაშში გაჰქონდა გოლი. ის ისეთივე შემართებით შეეცდება მეტოქეთა დამწუხრებას. გასულ უქმეებზე „მანჩესტერმა" ბოლტონში მოულოდნელი მარცხი იწვნია. „იუნაიტედს" ქულების განიავების უფლება აღარ აქვს. ძირითადში ითამაშებენ **რაიან გიგზი, ოუენ ჰარგრივსი, ედვინ ვან დერ სარი** და **ვესლი ბრაუნი**. „ფულჰემს" ცენტრალური მცველი **მორიც ვოლცი** უბრუნდება. მას არა ერთი წამყვანი ფეხბურთელი - **კრისტანვალი, კელერი, კუკი, პირსი, მაკბრაიდი, ელიოტი** და **ბულარდი** ჰყავს დაშავებული.

**კარლტონ კოული** თავის ყოფილ კლუბ „ჩელსის" „ვესტ ჰემის" შემადგენლობაში დაუპირისპირდება. „არისტოკრატებს" **მიკაელ ესიენი** არ ეყოლებათ. ის დისკვალიფიცირებულია. ტრავმებს იშუშებენ **პეტრ ჩეხი, ფლორან მალუდა, რიკარდო კარვალიო, პაულუ ფერეირა** და რა თქმა უნდა, **მიხაელ ბალაკი**. პრობლემები აქვთ „ჩაქუჩებსაც". **კრეიგ ბელამი** ნამდვილად ვერ ითამაშებს. **ლი ბოუიერის** ასპარეზობა საეჭვოა. ბოლო წუთს გადაწყდება **ფრედი ლიუნგბერგის** საკითხი. ტრავმები მოიშუშეს **დინ ეშტონმა** და **სკოტ პარკერმა**.

„ნიუკასლს" წამყვანი მცველები - **სტივ ტეილორი** და **აბდულაიე ფაიე** გამოუჯანმრთელდა. მათ „ლივერპულთან" ერთი კვირის წინანდელი მატჩი გამოტოვეს. ტრავმა მოიშუშა კიდევ ერთმა მცველმა **კლაუდიო კასაპამ**. **მაიკლ ოუენი, დემიენ დაფი** და **სელესტინ ბაბაიარო** ჯერაც მკურნალობენ. „ბლექბერნს" **რაიან ნელსენი** ჰყავს დასჯილი. მარჯვენა ფლანგის გაკონტროლება **ანდრე ოოიერსა** და **ბრეტ ემერტონს** დაევალებათ.

„ლივერპულს" კვლავ არ ეყოლება **ჩაბი ალონსო, დანიელ აგერი** და **ფაბიო აურელიო**. მერსისაიდელები იმ „ბოლტონს" უმასპინძლებენ, რომელმაც ერთი კვირის წინ „მანჩესტერ იუნაიტედს" მოუგო. ბოლტონელთა შემადგენლობაში „ლივერპულის" ყოფილი თავდამსხმელები - **ნიკოლა ანელკა** და **ელ ჰაჯი დიუფი** ითამაშებენ. ძირითადში დაყენებას უპირებენ ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მცველ **ჯეი ლოიდ სამუელსაც**. უცნაურია, მაგრამ „ლივერპულის" თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** „ბოლტონთან" მატჩისათვის იგივე შემადგენლობა შეარჩია, რომელმაც შუა კვირაში „პორტუ" მიწასთან გაასწორა. უცნაურია იმიტომ, რომ ბენიტესი გამარჯვებულ გუნდს არად დაგიდევთ ხოლმე და მუდმივად მიმართავს როტაციას. „ბოლტონის" თავკაცი **გარი მეგსონი** სამ იძულებით ცვლილებას გააკეთებს. დისკვალიფიკაცია მიესაჯათ **კევინ ნოლანსა** და **ნიკი ჰანტს**. **დენი გუტრი** ვერ ითამაშებს, რადგან „ლივერპულის" საკუთრებაა. **გევინ მაკენს** „არისთან" უეფას თასის მატჩისას გატეხილი თავის მიუხედავად, ძირითადში ვიხილავთ.

ხვალ „ტოტენჰემი" „ბირმინგემს" ხვდება. ნახევარმცველ **ჯერმეინ ჯენასის** ასპარეზობა საეჭვოა. ის „ოლბორგთან" უეფას თასის მატჩისას (3:2) დაშავდა. **ჯერმეინ დეფო** მწყობრშია. ცენტრალური მცველის, **იუნეს კაბულის** საკითხს ბოლო წუთს გადაწყვეტენ. ეს თამაში სადებიუტო იქნება **ალექს მაკლიშისათვის** ბირმინგემელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მან ეს-ესაა კონტრაქტი გააფორმა ინგლისურ კოლექტივთან. შოტლანდიელთა ყოფილმა თავკაცმა ამ პოსტზე **სტივ ბრუსი** შეცვალა. ბრუსი, მოგეხსენებათ, „ვიგანში" დაინიშნა და სადებიუტო მატჩს ისიც ამ უქმეებზე ჩაატარებს. დღეს ვიგანელები „მანჩესტერ სიტის" უმასპინძლებენ. სტუმრებს 5 ათასი გულშემატკივარი მიჰყვება. „სიტის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **ელანო** არ ეყოლება, ტრავმის მოშუშების შემდეგ „ვიგანის" ძირითადში პირველ მატჩს ჩაატარებს **ემილ ჰესკი**.

ამ ტურს კიდევ ერთი დებიუტანტი მწვრთნელი ჰყავს: „დერბის" თავკაცი **პოლ ჯუელი**. მისი შეგირდები იმ „სანდერლენდს" ესტუმრებიან, რომელმაც ერთი კვირის წინ „ევერტონთან" 1:7 წააგო. ამჯერად „ევერტონს" გაცილებით რთული მატჩი აქვს - „პორტსმუთთან". „პორტსმუთის" თავკაც **ჰარი რედნაპს** უმძიმესი კვირა ჰქონდა. ის კორუფციული გარიგებების ბრალდებით რამდენიმე საათით დააპატიმრეს და დაკითხეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 13 | 10 | 3 | 0 | 29-10 | 33 |
| 2. მანჩ. იუნ. | 14 | 9 | 3 | 2 | 23-7 | 30 |
| 3. მანჩ. სიტი | 14 | 9 | 2 | 3 | 18-14 | 29 |
| 4. ჩელსი | 14 | 8 | 4 | 2 | 21-9 | 28 |
| 5. ლივერპული | 13 | 7 | 6 | 0 | 22-6 | 27 |
| 6. ასტონ ვილა | 14 | 8 | 3 | 3 | 25-14 | 27 |
| 7. პორტსმუთი | 14 | 7 | 5 | 2 | 25-13 | 26 |
| 8. ევერტონი | 14 | 7 | 2 | 5 | 26-16 | 23 |
| 9. ბლექბერნი | 14 | 6 | 5 | 3 | 17-17 | 23 |
| 10. ვესტ ჰემი | 13 | 5 | 4 | 4 | 19-11 | 19 |
| 11. ნიუკასლი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-21 | 18 |
| 12. ფულჰემი | 14 | 2 | 7 | 5 | 18-22 | 13 |
| 13. რედინგი | 14 | 4 | 1 | 9 | 17-31 | 13 |
| 14. ტოტენჰემი | 14 | 2 | 6 | 6 | 24-25 | 12 |
| 15. ბოლტონი | 14 | 2 | 5 | 7 | 12-18 | 11 |
| 16. ბირმინგემი | 14 | 3 | 2 | 9 | 13-22 | 11 |
| 17. მიდლსბრო | 14 | 2 | 4 | 8 | 12-26 | 10 |
| 18. სანდერლენდი | 14 | 2 | 4 | 8 | 14-29 | 10 |
| 19. ვიგანი | 14 | 2 | 2 | 10 | 10-25 | 8 |
| 20. დერბი | 14 | 1 | 3 | 10 | 5-33 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



რონალდო მნიშვნელოვან მატჩს დააკლდება



რანიერი აქცენტს ტრეზეგე-იაკუინტას ტანდემზე გააკეთებს

# მილანი vs იუვე: რონალდო გამოირიცხა, კამორანეზი თითქმის...

**დღეს**

**სამპდორია-რეჯინა**
**მილანი-იუვენტუსი**

**ხვალ**

**ფიორენტინა-ინტერი**
**რომა-უდინეზე**
**ატალანტა-ნაპოლი**
**კატანია-პალერმო**
**სიენა-ლაციო**
**კალიარი-ლივორნო**
**პარმა-ემპოლი**
**ტორინო-ჯენოა**

სერია A-ს კლასიკა უბრუნდება. დღეს „მილანი" „იუვენტუსს" მასპინძლობს. ამ გუნდების უკანასკნელი შეხვედრა 2005 წლის მაისში გაიმართა, როცა „ქალბატონმა" **დავიდ ტრეგეზეს** გოლით გაიმარჯვა და ფაქტობრივად, ეს გოლი იყო სწორედ სკუდეტოს გარანტია. თუ რა მოხდა მომდევნო წელს, მკითხველმა კარგად იცის და ამაზე აღარ ვისაუბრებთ. ვნახოთ, რა ხდება დღევანდელი მატჩის წინ. ამ თამაშმა რამდენიმე კითხვას უნდა გასცეს პასუხი: მართლა არის თუ არა „იუვე" მზად, სერია B-დან დაბრუნებისთანავე ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. „მილანმა" კი უნდა თქვას, ჩამოშორდა თუ არა ამ ბრძოლას; შეუძლია თუ არა „ინტერთან" ჩამორჩენის გაბათილება; მოხსნის თუ ვერ შინაური კედლების პრობლემას? ასე რომ, დღეს გაცილებით მეტი აქვს დასამტკიცებელი „როსონერის", განსხვავებით „ბებერი ქალბატონისგან", რომელსაც სკუდეტოს წელს არავინ სთხოვს...

რაც შეეხება „სან სიროს" კომპლექსს. ჯერჯერობით, ვერავინ ახსნა, თუ რატომ ვერ იგებს „მილანი" საშინაო მატჩებს. სტუმრად მას ქულების 77 პროცენტი აქვს მოპოვებული. ასევე მოპოვებული აქვს ზედიზედ სამი გამარჯვება საერთო ანგარიშით - 12:2. სწორედ შინ განიავებულმა ქულებმა მოიტანა ის, რომ დღეს **კარლო ანჩელოტის** გუნდი არ არის ძლიერი საჩემპიონო კანდიდატი. საინტერესოა ისიც, რომ „მილანის" ფორვარდებს, მიმდინარე სერია A-ში, საკუთარ მოედანზე ჯერ გოლი არ გაუტანიათ. ამ მოედანზე გასვლა არ ეღირსა **რონალდოსაც**, რომელიც ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ პირველად გასულ უიქენდზე, „კალიარისთან" გასვლით შეხვედრაში გამოჩნდა შემადგენლობაში. მოხდა ისე, რომ „კიჭამ" „ბენფიკასთან" მატჩისწინა ვარჯიშზე კვლავ ტრავმა მიიღო და უკვე დაზუსტებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ „იუვენტუსთან" მატჩი მის გარეშე ჩაივლის. საეჭვოა, რონალდომ ითამაშოს საკონტინენტთაშორისო თასის ფინალურ შეხვედრაშიც. ასე რომ, ანჩელოტი, ალბათ, დაუბრუნდება თავის ფავორიტ სქემას და ტურინელთა წინააღმდეგ ერთ ფორვარდს დააყენებს. ეს ფორვარდი კი უფრო **ალბერტო ჯილარდინო** იქნება, ვიდრე **ფილიპო ინძაგი**. მაგრამ არის იმის დიდი შანსიც, რომ მწვრთნელმა ისინი ერთად დააყენოს, გამომდინარე იქიდან, რომ გამარჯვება ჰაერივითაა საჭირო. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს **კლარენს ზეედორფის** ტრავმითაც, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ანჩელოტი **კაკას** ნახევარდაცვაში დასწევს. ალბათ, არ იქნება **კახა კალაძეც**. კარლეტო მის ადგილზე **პაოლო მალდინის** დააყენებს.

„იუვენტუსი", რომელმაც წინა ტურში შთამბეჭდავად (5:0) დაამარცხა „პალერმო", მოულოდნელად დადგა პრობლემის წინაშე, რაც **მაურო კამორანეზის** ტრავმასთანაა დაკავშირებული. თუ ვერ ითამაშებს კამორანეზი, **კლაუდიო რანიერი** მარჯვენა ფლანგზე **ჰასან სალიჰამიჯიჩს** დააყენებს. საინტერესოა **ალესანდრო დელ პიეროს** საკითხიც. „იუვეს" მწვრთნელისთვის დღეს უფრო მისაღებია **ვინჩენცო იაკუინტასა** და **დავიდ ტრეზეგეს** ტანდემი. სავარაუდოდ, სწორედ ეს წყვილი დაიწყებს თამაშს. რაც შეეხება დაცვის მარჯვენა ფრთას, **ზდენეკ გრიგერას** გამოჯანმრთელების გამო მოსალოდნელია, რომ **ჯონათან ზებინა** სკამზე გადაინაცვლებს. დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითადში ბრუნდება მარცხენა მცველი **ჯორჯო კიელინი**.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, სერჟინიო, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, ინძაგი, ჯილარდინო.

**იუვენტუსი:** ბუფონი, გრიგერა, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, სალიჰამიჯიჩი, ნოჩერინო, კ. ძანეტი, ნედვედი, იაკუინტა, ტრეზეგე.

ტურის მეორე დიდი მატჩი „ფიორენტინა"-"ინტერია". ფლორენციელებს ბოლოხანს ჩავარდნა ეტყობათ. გუნდმა დამაჯერებლობა დაკარგა. ამიტომ, „ფიორენტინისთვის" ეს მატჩი ერთგვარი ტესტი იქნება. „ინტერი" კი ჯერჯერობით ინარჩუნებს ფორმას და საკუთარ ძალებში დარწმუნებული მიიწევს სკუდეტოსკენ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მეტოქის ძალამ „ფიორენტინას", შეიძლება, დამატებითი მოტივაციაც მისცეს. ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ **რობერტო მანჩინიმ** გარისკოს და დაცვაში **მარკო მატერაცი** დააყენოს. „მატრიქსი" ჯერ არ არის ფორმაში, ამიტომ, „ინტერის" უკანა ხაზში კვლავ **ივან კორდობასა** და **ვალტერ სამუელის** ტანდემს ვიხილავთ. ჯერჯერობით, ტრავმები ანუხებთ **პატრიკ ვიეირასა** და **ლუიშ ფიგუს**, ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულან **დეიან სტანკოვიჩი** და **ერნან კრესპოც** (თუმცა ორივე განაცხადში იქნება), ალარაფერს ვამბობთ **ადრიანოზე**. ამ ფონზე, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომ „ინტერის" თავდასხმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩითა** და **ხულიო კრუსით** დაკომპლექტება.

„ფიორენტინას" პრობლემები აქვს დაცვაში. ჩეხი **ტომაშ უიფალუში** ტრავმირებულია. **ჩეზარე პრანდელის** დანაკლისი აქვს შუა ხაზშიც, სადაც დისკვალიფიცირებული **რიკარდო მონტოლივო** არ იქნება. თუმცა ამ პოზიციების შევსება პრანდელის მეტნაკლებად სრულფასოვნად შეუძლია, **ალესანდრო გამბერინისა** და **ზდრავკო კუზმანოვიჩის** სახით. არ არის გამორიცხული, სასტარტოში ვიხილოთ **კრისტიან ვიერიც**. თუმცა **ჯამპიერო პაცინი** და **ადრიან მუტუ** „ინტერთან" ბრძოლისთვის მზად არიან და ვიერის, ალბათ, მეორე ტაიმისთვის თუ შემოინახავენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ფიორენტინა:** ფრეი, პოტენცა, კროლდრუპი, გამბერინი, პასკუალი, დონადელი, ლივერანი, კუზმანოვიჩი, სემიოლი, პაცინი, მუტუ.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, კივუ, ხ. ძანეტი, დაკური, კამბიასო, მაქსველი, კრუსი, იბრაჰიმოვიჩი.

**ლუჩანო სპალეტი** თავის ყოფილ გუნდს დაუპირისპირდება. „რომას" სტუმრობს „უდინეზე", რომელიც გასვლით მატჩებში კარგად თამაშობს (თუმც ამ კომპონენტში „რომას" ნამდვილად არ ჰყავს ბადალი), მაშინ, როცა „ჯალოროსის" შინ მხოლოდ 2 გამარჯვება აქვს. ამას გარდა, ფლიულელები უკვე 8 ტურია, არ დამარცხებულან. ასე რომ, „რომას" მეტად რთული თამაში ელის. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სპალეტის გუნდმა უკვე გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი და შეუძლია, ძალების კონცენტრირება სერია A-ზე მოახდინოს. ამავე დროს, „რომას" კვლავ აქვს სერიოზული დანაკლისი **ფრანჩესკო ტოტის**, **სიმონე პეროტასა** და **როდრიგო ტადეის** სახით, დისკვალიფიცირებულია ცენტრალური მცველი **მატეო ფერარი**. დაცვაში ანალოგიური პრობლემა აწუხებს სპალეტის კოლეგა **პასკუალე მარინოსაც**. წინა მატჩში გაძევებისთვის ბრაზილიელი **ფელიპე** ერთმატჩიან სასჯელს მოიხდის. პლუს ამას, ნახევარდაცვას აკლია **ჯანდომენიკო მესტო**.

საინტერესო იქნება „ატალანტა"-"ნაპოლის" მატჩიც. ეს გუნდები უეფას ზონაში მოხვედრისთვის იბრძვიან და ცხრილშიც მეზობლად არიან. ბერგამოელებს სერიოზული ბზარი გაუჩნდათ თავდასხმაში მას შემდეგ, რაც **რიკარდო ძამპანიამ** მწვრთნელ **ლუიჯი დელ ნერისთან** იჩხუბა და გუნდის დატოვება მოუხდა. ჯერჯერობით, ძამპანიას ადგილს **სერჯო ფლოკარის** ანდობენ. ამ ახალგაზრდამ, წინა ტურში, „ინტერს" „სან სიროზე" გაუტანა. პრინციპში, დელ ნერის სხვა არჩევანი არც აქვს, რადგან ხსენებულ მატჩში **სიმონე ინძაგი** გააძევეს და, შესაბამისად, დისკვალიფიცირებულია. დასჯილია ასევე ნახევარმცველი **დიეგო დე აშენტისიც**. „ნაპოლი" საბრძოლო შემადგენლობითაა.

საკმარისია, „ლაციომ" სიენაშიც წააგოს და **დელიო როსი** პოსტს დატოვებს. ტოსკანელებმა ანალოგიური რყევა უკვე გადაიტანეს. ხვალ **მარიო ბერეტას** საშინაო დებიუტია. „სიენაში" მიბრუნებულმა მწვრთნელმა პირველივე მატჩი წააგო. ახლა მხოლოდ მოგების დროა და არა მხოლოდ ბერეტასთვის. „ლაციალეს" დაცვაში **სანჩეს კრიბარი** და **ლუჩანო ძაური** აკლია, ნახევარდაცვაში კი არ იქნება მთავარი ფიგურა **მასიმო მუტარელი**, რომელსაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. „სიენას" კი არ ეყოლება ვეტერანი **ენრიკო კიეზა**, რომელიც, ალბათ, კარიერას დაასრულებს.

...და კიდევ ორი შეხვედრა წარსულთან: „სამპდორიის" მწვრთნელი **ვალტერ მაძარი** თავის ძველ გუნდს ხვდება. ის სწორედ „რეჯინაში" ნაყოფიერი მოღვაწეობით გაიცნო საზოგადოებამ. მეორე მხრივ, რეჯოკალაბრიელთა ახალი მწვრთნელი **რენცო ულივიერი** თავის დროზე (1981-84) „სამპში" მუშაობდა. ასე რომ, ეს უკვე სერიოზული ინტრიგაა. გენუელებს ევროამბიცია კი აქვთ, მაგრამ გუნდი არასტაბილურია და მაძარიმ ჯერ ეს პრობლემა უნდა მოაგვაროს. რაც შეეხება ულივიერის, აქ საგულისხმო შედეგთან გვაქვს საქმე: მოგება და ფრე ბოლო ორ მატჩში და არც ერთი გაშვებული გოლი. დანაკლისს კი უფრო „სამპდორიაში" ვხედავთ: თავდასხმაში არ იქნებიან **ვინჩენცო მონტელა** და **ანტონიო კასანო**.

სიცილიური დერბი: „კატანია"-"პალერმო". 2 თებერვლის ტრაგედიის შემდეგ ეს გუნდები „მასიმინოზე" პირველად ხვდებიან ერთმანეთს. პოლიციას გაძლიერებულ რეჟიმში მოუწევს მუშაობა. იტალიის ფეხბურთის ფედერაცია მოუწოდებს ორივე გუნდის ფანებს, სანიმუშო საქციელით პატივი სცენ დაღუპული პოლიციელის ფილიპო რაჩიტის ხსოვნას...

კატანიაში „პალერმო" ახალი მწვრთნელით ჩადის. მაგრამ საკითხავია, რამდენად შეიძლება ვუწოდოთ „ახალი მწვრთნელი" **ფრანჩესკო გვიდოლინს**, რომელიც ბოლო სამ წელიწადში გუნდს მეოთხედ ჩაუდგა სათავეში. ასეა თუ ისე, „პალერმოს" პრეზიდენტი და ფანები კვლავ მასზე ამყარებენ იმედებს. ორივე გუნდი ოპტიმალური შემადგენლობითაა, თუ არ ჩავთვლით სტუმართა ნახევარმცველ **ჩირო კაპუანოს**, რომელიც ტრავმირებულია.

„პარმა"-"ემპოლი". ამ მატჩშიც შედგება ახალი მწვრთნელის დებიუტი. საუბარია **ალბერტო მალეზანიზე**, რომელმაც „ემპოლის" დამრიგებლის პოსტზე **ლუიჯი კანი** შეცვალა. თუ „პარმამ" ტოსკანური გუნდი ვერ დაამარცხა, კანის ბედს **დომენიკო დი კარლოც** გაიზიარებს. სხვათა შორის, მალეზანის ადრე (1998-2001) „პარმაშიც" უმუშავია და მასთან ერთად უეფას თასიც (1999) მოუგია. პარმეზანებს დაცვაში **ფერნანდო კოუტუ** (დისკვალიფიკაცია) და **ჯუზეპე კარდონე** (ტრავმა) აკლიათ, თავდასხმაში კი **იგორ ბუდანი** (ტრავმა). უკანა ხაზში დანაკლისი აქვს „ემპოლისაც". ტრავმის გამო ვერ ითამაშებს გამოცდილი მცველი **დანიელე ადანი**.

„ლივორნოსთან" საშინაო მატჩში „კალიარის" არ ეყოლება ძირითადი მეკარე **მარკო ფორტინი** დააკლდება. სირთულეები აქვს მასპინძელსაც, რომელიც ნახევარდაცვაში **ჟოზე ვიდიგალსა** და **ანტონიო ფილიპინის** მოისაკლისებს.

ტურის ბოლო მატჩში „ტორინო"-"ჯენოას" უმასპინძლებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდს ერთად 16 სკუდეტო აქვს მოგებული, დღეს ისინი სერია A-ში დარჩენისთვის იბრძვიან. ძირითადი ზარალი მათ დისკვალიფიკაციებისგან აქვთ: „ტორინოს" არ ეყოლება ნახევარმცველი **ვინჩენცო გრელა** და მცველი **სიმონე ბარონე**, „ჯენოას" კი შუახაზელები -**ივან იურიჩი**, **მატეო პარო** და **დანილო საკრამენტო**. მაგრამ სტუმრებისთვის მთავარი დანაკლისი ტრავმირებული ფორვარდის **მარკო ბორიელოს** არყოფნაა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 12 | 8 | 4 | 0 | 24-8 | 28 |
| 2. იუვენტუსი | 13 | 7 | 3 | 2 | 29-13 | 25 |
| 3. რომა | 12 | 7 | 4 | 1 | 26-16 | 25 |
| 4. უდინეზე | 13 | 7 | 4 | 2 | 16-13 | 25 |
| 5. ფიორენტინა | 13 | 6 | 6 | 1 | 19-9 | 24 |
| 6. ნაპოლი | 13 | 5 | 3 | 5 | 21-15 | 18 |
| 7. ატალანტა | 12 | 4 | 6 | 2 | 16-15 | 18 |
| 8. პალერმო | 13 | 4 | 6 | 3 | 17-21 | 18 |
| 9. მილანი | 12 | 4 | 5 | 3 | 20-10 | 17 |
| 10. სამპდორია | 13 | 5 | 2 | 6 | 15-17 | 17 |
| 11. კატანია | 13 | 3 | 6 | 4 | 11-13 | 15 |
| 12. ტორინო | 13 | 2 | 8 | 3 | 13-14 | 14 |
| 13. ჯენოა | 13 | 3 | 5 | 5 | 12-18 | 14 |
| 14. ლაციო | 12 | 3 | 4 | 5 | 12-16 | 13 |
| 15. პარმა | 13 | 2 | 6 | 5 | 15-22 | 12 |
| 16. ლივორნო | 13 | 3 | 3 | 7 | 17-25 | 12 |
| 17 რეჯინა | 13 | 1 | 7 | 5 | 9-18 | 10 |
| 18. ემპოლი | 13 | 2 | 4 | 7 | 7-19 | 10 |
| 19. სიენა | 13 | 1 | 6 | 6 | 12-20 | 9 |
| 20. კალიარი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-20 | 9 |

## რონალდო, კაკა და მესი: ფიფამ სამეული დაასახელა

ფიფას ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი **კრისტიანო რონალდო, კაკა** ან **ლიონელ მესი** გახდება. მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ეს ინფორმაცია პარასკევს გაავრცელა. ამ სამეულიდან ერთ-ერთი **ფაბიო კანავაროს** მემკვიდრეობას მიიღებს. რონალდოს „მანჩესტერ იუნაიტედსა" და პორტუგალიის ნაკრებში საუცხოო სეზონი ჰქონდა. კაკამ „მილანთან" ერთად ჩემპიონთა თასი მოიპოვა. თვითონ კი 10 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მესი „ბარსელონის" აღმოჩენაა. ის მსოფლიო ფეხბურთის აღმოჩენადაც კი იქცა. ფიფა თავის ფავორიტს 17 დეკემბერს ციურიხში, დიდ გალაკონცერტზე გამოავლენს. კენჭისყრაში მონაწილეობენ მსოფლიოს ყველა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი და კაპიტანი. ჩამოთვლილი სამი ფეხბურთელიდან ფიფას ჯილდო არცერთს არ მოუგია. რეკორდსმენები არიან **ზინედინ ზიდანი** და **რონალდო** (3), **რონალდინიოს** ეს პრიზი ორჯერ გადაეცა. აღსანიშნავია, რომ პრემიერლიგის ფეხბურთელი ფიფას ვერსიით წლის საუკეთესო მოთამაშე არასოდეს გამხდარა. კრისტიანო რონალდოს ამ უსიამოვნო ტრადიციის დასრულება შეუძლია.

## ჰოჯსონი ფინეთიდან ინტერში

**როი ჰოჯსონი** ფინეთის ნაკრებს გამოეთხოვა. ინგლისელმა სპეციალისტმა ამ ქვეყანაში ორი წელი იმუშავა. მან ფინეთში საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ყველაფერი ილონა მისი კონტრაქტის გასახანგრძლივებლად, მაგრამ ამაოდ. 60 წლის მწვრთნელმა თანამშრომლობისათვის ყველას მადლობა მოახსენა და შინ გაემგზავრა.. ფინელებმა ჰოჯსონის ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი შთამბეჭდავად ჩაატარეს, მაგრამ მესამე ადგილს დასჯერდნენ. ამ ჯგუფიდან ევროპული საგზურები პოლონეთმა და პორტუგალიამ მოიპოვეს.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია ჰოჯსონის ახალ სამსახურთან დაკავშირებით. იტალიური სააგენტოების ცნობით, ის „ინტერთან" გააფორმებს კონტრაქტს. მისტერ როი ორჯერ იყო მილანური გრანდის მთავარი მწვრთნელი. ამჯერად **რობერტო მანჩინის** სკამს არაფერი ემუქრება. ჰოჯსონი კლუბის ადმინისტრაციაში იმუშავებს. მისი ზუსტი ფუნქციები ჟურნალისტებისათვის უცნობია. ინგლისელი მწვრთნელი „ინტერს" 1995-97 წლებში ხელმძღვანელობდა. ის 1999 წელს დაბრუნდა, მაგრამ დამრიგებლის პოსტზე სულ რამდენიმე თვე გაატარა.



როი ჰოჯსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მარკო ვან ბასტენთან

# მილანი? მოდით, იბრაჰიმოვიჩზე ვილაპარაკოთ...



მარკო ვან ბასტენი

**უკანასკნელ ხანს, იტალიურ პრესაში, ზლატან იბრაჰიმოვიჩს ხშირად ადარებენ ლეგენდარულ მარკო ვან ბასტენს, რასაც ჰოლანდიის ნაკრების დღევანდელი მწვრთნელი კატეგორიულად არ ეთანხმება, თუმც შვედი ფორვარდი „ოქროს ბურთსა" და წლის საუკეთესო ფეხბურთელის (ფიფას ვერსიით) წოდებაზე აცხადებს პრეტენზიას. სწორედ ამ და სხვა თემებზე საუბრობს ვან ბასტენი „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ...**

**- ნახეთ იბრაჰიმოვიჩის მეორე გოლი ცსკა-სთან ჩემპიონთა ლიგის მატჩში?**

- დიახ, ბრწყინვალე გოლი გაიტანა. ლამაზად ჩამოიცილა მეურვე და ზუსტად დაარტყა. ასეთი გოლები მხოლოდ მაღალი კლასის მოთამაშეებს გააქვთ. ეს ფაქტია.

**- რა აზრის ხართ იმაზე, რომ ბოლო ხანებში პრესა მას თქვენ სულ უფრო ხშირად გადარებთ?**

- არ ვიცი, რა გიპასუხოთ... საერთოდ, არ მიყვარს შედარებები და მოდით, ამისგან თავს შევიკავებ. იმას კი გეტყვით, რომ იბრაჰიმოვიჩი დიდებული ფეხბურთელია, თავისი ფინტებითა და არაორდინარული მოქმედებებით, რის გამოც გულშემატკივრებში დიდი სიყვარულით სარგებლობს.

**- მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იბრაჰიმოვიჩი არ არის ტიპური შვედი...**

- ზლატანს კარგი ფიზიკური მონაცემები და ტექნიკა აქვს. ისე კი, რალაცით ჩვენ შეიძლება ვგავართ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ მეჩვენება, რომ თავის მონაცემებს ის გაცილებით უკეთ იყენებს და მცველებს მუდმივად პრობლემებს უქმნის.

**- იბრაჰიმოვიჩის სხვა მონაცემებზე რას იტყოდით?**

- სხვაზე რა გითხრათ... მე მაგალითად, არ მინახავს მსოფლიოში მსგავსი ფიზიკური აღნაგობის მოთამაშე, ასეთი დახვეწილი ტექნიკა რომ ჰქონდეს. ნახეთ, როგორ ფლობს ბურთს... დღესდღეობით, ვერ ვხედავ სხვა ფორვარდს, რომელსაც მის გვერდით დავაყენებდი. ამიტომაც უწოდებენ მას ექსტრაორდინარულს.

**- მიმდინარე სეზონის 15 მატჩში იბრაჰიმოვიჩმა 11 გოლი გაიტანა. თუმცა ადრე ამბობდნენ, რომ ის არ იყო კლასიკური ტიპის ბომბარდირი...**

- მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ის მარტო დამაგვირგვინებელი არ არის, იბრაჰიმოვიჩს თავად შეუძლია გოლის შექმნა. ჩვენ ვნახეთ, რომ ხშირ შემთხვევაში „ინტერისთვის" სწორედ ის არის შედეგის გარანტი.

**- ...და ასევე, ის არის ფეხბურთელი, რომელმაც შეიძლება მწვრთნელის ბედიც კი განსაზღვროს. თქვენც ასე ხომ არ ფიქრობთ?**

- ვარსკვლავებს ბევრი რამ შეუძლიათ, მათ შორის, რა თქმა უნდა, თამაშის ბედის გადაწყვეტაც. მაგრამ რაც შეეხება მწვრთნელების მიმართ დამოკიდებულებას, ეს სათუთი საკითხია... იცით, დიდი ფეხბურთელი და მწვრთნელი ვალდებულნი არიან, ერთმანეთს გაუგონ. სხვანაირად, გუნდში ჯანსაღი ატმოსფერო არ იქნება.

**- გამოადგებოდა ზლატანი ჰოლანდიის ნაკრებს?**

- არ არსებობს მწვრთნელი, რომელიც მაღალი კლასის მოთამაშეზე არ ოცნებობს. როცა გუნდში იბრაჰიმოვიჩის დარი ფეხბურთელი გყავს, ეს მწვრთნელისთვის დიდი პრივილეგიაა, რადგან ამ დროს მოედანზე პრობლემები გაცილებით იოლად წყდება

**- მასიმო მორატიმ „იუვენტუსს" მასში 25 მილიონი ევრო გადაუხადა. თვლით, რომ „ინტერმა" ეკონომიკურადაც მოიგო?**

- რა თქმა უნდა. ეს მეტად ფასეული შენაძენი იყო, რადგან იბრაჰიმოვიჩი ახლა კარიერის პიკზეა. მოედანზე ის სპექტაკლებს აწყობს და არა მარტო „ინტერის" ქომაგებისთვის, არამედ იმათთვისაც, ვინც ფეხბურთში სილამაზეს აფასებს.

**- „მილანი" დღემდე ვერ ინელებს იმას, რომ თავის დროზე იბრაჰიმოვიჩის ყიდვა ვერ მოახერხა და ის „ინტერის" ხელში აღმოჩნდა...**

- მე მგონი, ორივე კლუბის ფანებს უნდა უხაროდეთ მოედანზე ისეთი დიდი მოთამაშეების გამოჩენა, როგორებიც კაკა და იბრაჰიმოვიჩი არიან.

**- შეხვედრიხართ იბრაჰიმოვიჩს?**

- ოთხი წლის წინათ, როცა ის „აიაქსში" თამაშობდა, მე მეორე გუნდის მწვრთნელი ვიყავი და ხშირად ვადევნებდი თვალყურს ძირითადი შემადგენლობის ვარჯიშს. ბევრჯერ გვისაუბრია კიდეც. ის ჭკვიანი ბიჭია - იცის, რა უნდა ცხოვრებაში და ისიც იცის, თუ როგორ მიაღწიოს დასახულ მიზანს.

**- როგორი ფეხბურთელი იყო იმ პერიოდში?**

- მაშინაც კი, მას შეეძლო თამაშის ბედის ერთპიროვნულად გადაწყვეტა. საერთოდ, ტალანტი ადამიანს დაბადებიდან მოსდევს, ამიტომ, იბრაჰიმოვიჩს თავიდანვე დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებდით. მაგრამ ტალანტთან ერთად, დიდი შრომაცაა საჭირო. კარგია, რომ ზლატანს ეს გაცნობიერებული ჰქონდა და დღესაც აქვს. ჰოდა, მიაღწია კიდეც დიდ სიმაღლეს. თუმც მას ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვს.

**- 2004 წელს, ამსტერდამში ჩავიდა ლუჩანო მოჯი, რომელმაც იბრაჰიმოვიჩი „აიაქსიდან" „იუვენტუსში" გადასვლაში დაარწმუნა...**

- იმ დროისთვის, იბრაჰიმოვიჩს „აიაქსში" უკვე ჰქონდა სერიოზული წარმატებები და მას აუცილებლად სჭირდებოდა გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატში თამაში, რათა ეს ოსტატობა კიდევ უფრო დაეხვეწა. სერია A-ში ის მართლაც გაიზარდა, როგორც ფორვარდი. ამიტომ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

**- შეუძლია ზლატანს, რეალურად განაცხადოს პრეტენზია „ოქროს ბურთზე"? რას იტყვით მის კონკურენტებზე... მაგალითად, კაკაზე?**

- თქვენ იცით, რომ ჯილდოს მხოლოდ პერსონალური წარმატებებისთვის არ ანიჭებენ. იბრაჰიმოვიჩს სჭირდება გამარჯვებები საერთაშორისო ასპარეზზეც, რაც უკვე „ინტერის" გასაკეთებელია. ამას გარდა, წინ არის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი და ვნახოთ, რას მიაღწევს იქ შვედეთის ნაკრები. ჩემი აზრით, და ამაში ბევრი მეთანხმება, იბრაჰიმოვიჩს თავისი პოტენციალი ჯერ ბოლომდე არ გაუხსნია და ამიტომაც ვთვლი, რომ დღეს „ოქროს ბურთის" მოპოვების მეტი შანსი კაკას აქვს.

**- როგორც ჩანს, სერია A-ს თვალს ადევნებთ? თავის დროზე იქ თქვენც თამაშობდით...**

- დიახ, იტალია ჩემთვის უცხო არ არის. „მილანთან" ერთად დიდ გამარჯვებებს მივაღწიე და ეს იყო საუკეთესო წლები ჩემს კარიერაში.

**- „ინტერი" მაინც მთავარი ფავორიტია?**

- არ ვიცი, მთავარი ფავორიტია თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ სერია A-ში დღეს ყველაზე ძლიერია. კლუბმა დიდი ფული და ენერგია დახარჯა იმაში, რომ საჭირო ფეხბურთელები აეყვანა. შედეგებიც უკვე ჩანს...

**- გამოდის, რომ ჩემპიონის ვინაობა უკვე ცნობილია?**

- ვფიქრობ, ასეა. თუმცა, შარშანდელისგან განსხვავებით, ამ სეზონში სკუდეტოსთვის ბრძოლა დაძაბული და საინტერესო იქნება.

**- რა სჭირს თქვენს „მილანს"? ის უკვე ძალიან ჩამორჩა „ინტერს"...**

- არ ვიცი... მოდით, ისევ იბრაჰიმოვიჩზე ვილაპარაკოთ...

**- როდის შემოგვთავაზებს ახალ შედევრს?**

- ...თუნდაც უახლოეს შეხვედრაში. ასეთი მოთამაშეებისგან ყოველთვის უნდა ელოდო რაღაც ექსტრაორდინარულს...

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XIV ტურის წინ

# შურისძიების წყურვილით მონჟუიკზე

## ბარსელონას არ დავიწყნია, რომ შარშან ჩემპიონობა ესპანიოლმა დააკარგვინა...

**დღეს**

ალმერია-სევილია
რეალი-რასინგი
ესპანიოლი-ბარსელონა

**ხვალ**

ვალიადოლიდი-ვილიარეალი
ხეტაფე-ლევანტე
რეკრეატივო-სარაგოსა
დეპორტივო-ოსასუნა
მალიორკა-მურსია
ბეტისი-ატლეტიკო
ვალენსია-ბილბაო

დიდი სჯა-ბაასი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ მე-14 ტურის ცენტრალური შეხვედრა „ესტადიო მონჟუიკზე" გაიმართება. „ესპანიოლს" ძალიან მოტივირებულ „ბარსელონასთან" მოუწევს დაპირისპირება. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ **ფრანკ რაიკაარდის** ბიჭებს ორმაგი მოტივაცია ამოძრავებთ. ალბათ, გახსოვთ, რომ გასული სეზონის ბოლო ტურის შეხვედრაში „ესპანიოლმა" „კამპ ნოუზე" „ბარსას" ორი ქულა და მასთან ერთად ესპანეთის ჩემპიონობა დააკარგვინა. გასაკვირი არ არის, რომ სტუმრებს რევანშის წყურვილი კლავთ. სხვათა შორის, რაიკაარდმა არაორაზროვნად თქვა, „მონჟუიკზე" ძველი ანგარიშების გასასწორებლად მივდივართო, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ. მანამდე კი მასპინძელთა ბანაკში არსებულ მდგომარეობას გაგაცნობთ. კატალონიური დერბის წინ **ერნესტო ვალვერდეს პაბლო საბალეტა** და **ალბერტ რიერა** დაუბრუნდნენ. საბალეტამ ერთი კვირის წინ „ოსასუნასთან" მატჩი გამოტოვა. ამის მიზეზი ზურგის ტკივილი გახლდათ. ექიმების მტკიცებით, არგენტინელმა ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და თავისუფლად შეუძლია, მოედანზე 90 წუთი დაჰყოს. რიერას რაც შეეხება, მან მარჯვენა ტერფის მიკრო ტრავმა მოიშუშა.ამ ორი ბიჭის დაბრუნება ბალბერდესთვის სასიხარულოა, მაგრამ მთავარ მწვრთნელს განწყობას სხვა შეგირდების მდგომარეობა უფუჭებს. თავად განსაჯეთ, სხვადასხვა სიმძიმის ტრავმის გამო მას **პაკო პერესი, რუფეტე, დავიდ გარსია** და **დე ლა პენია** დააკლდებიან. რა თქმა უნდა, ყველაზე მტკივნეული, ივანის არყოფნაა. გამოცდილ ნახევარმცველს ბარძაყის კუნთი აქვს განყვეტილი. საბოლოო ტეაბილიტაციას სავარაუდოდ კიდევ 10 დღე დასჭირდება.

„ბარსელონამ" საჩემპიონთალიგო მომქანცველი მატჩის შემდეგ ერთი დღე დაისვენა და „ესპანიოლთან" შეხვედრის მომზადებას შეუდგა. რაიკაარდს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. ჰოლანდიელი სპეციალისტი მიხვდა, რომ მათ ფილიალის ბიჭების გარეშე ვერ მოაგვარებს. კატალონიურ გიგანტს ერთბაშად რვა მოთამაშე აკლია. **დეკუს, ედმილსონისა** და **ეტოოს** ტრავმების შესახებ აქამდეც ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ ხსენებულ ტრიოს **ჯოვანი, ტურამი, სილვინიო, ოლეგერი** და **ანრი** დაემატნენ. დაგვეთანხმებით, ტრავმების ასეთ ეპიდემიას ძალიან ცუდი სამსახურის გაწევა შეუძლია. რიაკაარდმა ბევრი იფიქრა და კატალონიური დერბის წინ კანტერიდან **ალბერტო ბოტია** და **ვიქტორ სანჩესი** დაიმატა. ძნელი სათქმელია ეს ორი ჯერაც რძეშეუმშრაბელი ბიჭუნა „ბარსელონას" რამდენად დაეხმარება. გუშინ რაიკაარდმა გაახმაურა, რომ „ესპანიოლთან" მატჩში **რონალდინიო** ძირითად შემადგენლობაში ისასპარეზებს. სანაკრებო ბატალიებით გადაღლილი ბრაზილიელი წინა ორ დაპისირებაში მთავარმა მწვრთნელმა დაზოგა და მთლიანობაში მხოლოდ 25 წუთი ათამაშა, ისიც მხოლოდ შეცვლაზე. მიმომხილველთა აზრით, რონალდინიო დერბიში განსაკუთრებულს ვერაფერს გააკეთებს, მაგრამ ისინი იმასაც ამბობენ, რომ **გუდიონსენს** ისევ გადაღლილი რონალდინიო ჯობს. მოკლედ, რაიკაარდს გადაწყვეტილებები უკვე მიღებული აქვს. ვნახოთ, როგორ ტაქტიკას აირჩევს ის. პარასკევის პრესკონფერენციაზე ჰოლანდიელმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ „მონჟუიკზე" გასვლის წინ გასული სეზონის მატჩს გაიხსენებენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ შური იძიონ.

მართალია, „რეალისა" და „რასინგის" დაპირისპირება ისეთივე დაინტერესებას არ იწვევს, როგორსაც კატალონიური დერბი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ **ბერნდ შუსტერს** შეგირდები მაქსიმალურად არ უნდა მოემზადებინა. გერმანელი სპეციალისტი ბრემენში განცდილი მარცხის შემდეგ ძალიან ცუდ განწყობაზე გახლდათ. ეს ფაქტი ვარჯიშებზეც აისახა. გერმანელი არ ილიმოდა და საწვრთნელ პროცესს ჩუმად უძღვებოდა. სანტანდერელებთან დაპირისპირებაში სამეფო კლუბს **გაბრიელ ჰაინცე** და **გუტი** ვერ დაეხმარებიან. არგენტინელს მუხლის ტრავმა აწუხებს, ხოსე მარიას კი წინა ტურში ჩადენილი უხეშობისთვის დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი. სამაგიეროდ, შუსტერს **სნაიდერი** და **კანავარო** დაუბრუნდნენ. სხვათა შორის, რაიკაარდის მსგავსად კანტერისკენ გახედვა ჰერ ბერნდსაც მოუხდა. იმის გამო **დუდეკს** გასული ორი დღის განმავლობაში კოჭი სტკიოდა, „რეალის" დამრიგებელმა სათადარიგო გუნდიდან ახალგაზრდა მეკარეს, **კოდინას** უხმო. შუსტერი იმედოვნებს, რომ ბოლო მომენტში მაინც შეძლებს დუდეკის განაცხადში შეყვანას. პოლონელს ექიმები ინტენსიურად მკურნალობენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 13 | 9 | 2 | 2 | 30-13 | 29 |
| 2. ვილიარეალი | 13 | 9 | 1 | 3 | 26-19 | 28 |
| 3. ბარსელონა | 13 | 8 | 3 | 2 | 26-10 | 27 |
| 4. ესპანიოლი | 13 | 7 | 4 | 2 | 19-14 | 25 |
| 5. ატლეტიკო | 13 | 7 | 3 | 3 | 27-17 | 24 |
| 6. ვალენსია | 13 | 8 | 0 | 5 | 20-20 | 24 |
| 7. რასინგი | 13 | 6 | 5 | 2 | 11-9 | 23 |
| 8. მალიორკა | 13 | 5 | 4 | 4 | 23-20 | 19 |
| 9. სარაგოსა | 13 | 5 | 3 | 5 | 20-20 | 18 |
| 10. სევილია | 12 | 5 | 0 | 7 | 24-19 | 15 |
| 11. ხეტაფე | 13 | 4 | 3 | 6 | 14-16 | 15 |
| 12. ბილბაო | 13 | 3 | 5 | 5 | 12-16 | 14 |
| 13. მურსია | 13 | 3 | 5 | 5 | 9-14 | 14 |
| 14. ალმერია | 13 | 3 | 4 | 6 | 11-15 | 13 |
| 15. ვალიადოლიდი | 13 | 3 | 4 | 6 | 19-26 | 13 |
| 16. დეპორტივო | 13 | 3 | 4 | 6 | 12-19 | 13 |
| 17. ოსასუნა | 12 | 3 | 3 | 6 | 14-16 | 12 |
| 18. რეკრეატივო | 13 | 3 | 3 | 7 | 8-18 | 12 |
| 19. ბეტისი | 13 | 2 | 5 | 6 | 13-20 | 11 |
| 20. ლევანტე | 13 | 2 | 1 | 10 | 10-27 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური

# ვულკანის მორიგი ამოფრქვევა

## ...და ჰამბურგის საჩუქარი იუბილარ სტევენსს



ატლეტიკო-აბერდინი. ლუის გარსიამ სკოტებს ბევრი თავსატეხი გაუჩინათ

### A ჯგუფი

**ზენიტი-ნიურნბერგი 2:2**

**ზენიტი:** ჩონტოფალსკი, ანიუკოვი, კიმი, ლომბერტსი (72. იონოვი), შკრტელი, დომინგესი (80. რადიმოვი), შირლი, ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, არშავინი, პოგრებნიაკი.

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი, ბოშამი, რაინჰარდტი, ვოლფი, ენგელჰარდტი (74. ბენკო), გალაშეკი, კლუგე, მინტალი (74. კრისტიანსენი), ადლერი (46. საენკო), ხარისტეასი, მისიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 ხარისტეასი (25), 1:1 პოგრებნიაკი (76), 2:1 იონოვი (79), 2:2 ბენკო (84)

**მაყურებელი:** 21 500

**ალკმაარი-ლარისა 1:0**

**ალკმაარი:** ვატერმანი (32. რომერო), იალიენსი, ოპდამი, პოკონიოლი, სტეინსონი, აგუსტიენი, კზიომერი (74. იენერი), დე ზეეუვი, მედუნიანინი (65. პელე), მენდესი, დემბელე.

**ლარისა:** კოცოლისი, დაბიზასი, გალიციოსი, კაციაროსი, კლეიტონი, ფოტაკისი, კირიაკიდისი (82. კოზლეი), კოციოსი, სარმიენტო, ალექსანდრუ (82. ბახრამისი), კალანცისი (69. პარა).

**გოლი:** 1:0 დემბელე (77)

**გაძევება:** კოციოსი (84. ლარისა)

**მაყურებელი:** 16 800

„ნირნბერგმა", რომელიც უეფას თასზე გერმანიის თასის მოგების გამო მოხვდა, სანქტ პეტერბურგში რუსეთის ჩემპიონ „ზენიტს" ძალიან მნიშვნელოვანი ქულა აართვა. იმის გათვალისწინებით, რომ ფრანკებს პირველი მატჩი წაგებული ჰქონდათ, ახლა კი სტუმრად თამაშობდნენ, ერთი ქულა **ჰანს მაიერის** გუნდს აქტივში უნდა ჩაეთვალოს. გერმანელები 26-ე წუთზე დაწინაურდნენ: **ხარისტეასის** დარტყმული რიკოშეტით გავიდა **ჩონტოფალსკის** კარში და უნდა ითქვას, რომ ეს იღბლიანი გოლი იყო. პირველი ტაიმის მიწურულს რუსებმა „ნიურნბერგს" შტურმი მოუწყვეს, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს. მეორე ტაიმში მაიერის გუნდმა შეუტია და ამგვარად, „ნიურნბერგმა" „ზენიტი" დიდხანს არ გააკარა საკუთარ საჯარიმოს, მაგრამ დაცვაში დაშვებული ორი შეცდომის გამო, სამ წუთში ორი გოლი გაუშვა (**პოგრებნიაკი, იონოვი**). მაგრამ გერმანელებმა მაინც მოახერხეს წონასწორობის აღდგენა – გოლი შეცვლაზე შესულმა **ბენკომ** მატჩის დამთავრდებამდე 6 წუთით ადრე გაიტანა.

მოგვიანებით **შოთა არველაძის** ყოფილმა კლუბმა „ალკმაარმა" „ლარისას" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით მოუგო – გადამწყვეტი გოლი 77-ე წუთზე **დემბელემ** გაიტანა. „ევერტონი" ისვენებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლივერპულული კლუბი მაინც ლიდერად რჩება (2 მოგება 2 თამაშში) და „ზენიტს" ქულით, ხოლო ალკმაარს კი 2 ქულით უსწრებს. „ნიურნბერგი" 1 ქულით მეოთხე ადგილზეა, თუმცა ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ არ დაუკარგავს, რადგან გერმანელებს კიდევ ორი თამაში აქვთ ჩასატარებელი. მათ შორის, თუ მომდევნო ეტაპზე გასვლა უნდათ, საკუთარ მოედანზე „ალკმაარს" აუცილებლად უნდა მოუგონ. „ლარისას" ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ აქვს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ევერტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ზენიტი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| 3. ალკმაარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4. ნიურნბერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 5. ლარისა | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 0 |

### B ჯგუფი

**ლოკომოტივი-კოპენჰაგენი 0:1**

**ლოკომოტივი:** პელიცოლი, ასათიანი, გურენკო, ივანოვიჩი, როდოლფო, სპაჰიჩი, ბილიალეტდინოვი, მამინოვი, ოდემვინგი (46. სამედოვი), სიჩოვი (80. კოჩიში), ტრაორე.

**კოპენჰაგენი:** კრისტიანსენი, ანტონსონი, გრავგაარდი, ჰანგელანდი, ვენდტი, ჰატჩინსონი, კვისტი, ნორეგაარდი, ვიურტცი (32. ზიონკო), ოლბაკი, ნორდსტრანდი (79. ალმეიდა).

**გოლი:** 0:1 ნორდსტრანდი (62-პენ)

**გაძევება:** სპაჰიჩი (88. ლოკომოტივი)

**მაყურებელი:** 11 000

**ატლეტიკო-აბერდინი 2:0**

**ატლეტიკო:** აბიატი, ლოპესი, ელერი, პაბლო, პერნია, კლებერ სანტანა, ლუის გარსია, მოტა, მაქსი როდრიგესი (71. მანიშე), აგუერო (46. სიმაო საბროსა), ფორლანი (70. მისტა).

**აბერდინი:** ლანგფილდი, ბირნი, დაიამონდი, ფოსტერი, ჰარტი, მაკნამარა (34. კლერკი), სევერინი (76. მაკუირი), სმიტი (44. დე ვიშერი), ტუზანი, მილერი, იანგი.

**გოლები:** 1:0 ფორლანი (45-პენ), 2:0 ლანგფილდი (61-საკ. კარში)

**მაყურებელი:** 30 000.

თამამად შეიძლება სენსაციად მოინათლოს ის ფაქტი, რომ დანიურმა „კოპენჰაგენმა" მოსკოვის „ლოკომოტივს" რუსეთის დედაქალაქში მოუგო (1:0). მოუგო და გადაასწრო კიდეც. ეს ერთადერთი გოლი **პელიცოლის** კარში 62-ე წუთზე **მორტენ ნორდსტრანდმა** (პენალტით) გაიტანა. ამრიგად, **მალხაზ ასათიანის** გუნდს სამ თამაშში მხოლოდ 2 ქულა აქვს და მართალია, ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ გააჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო. „კოპენჰაგენს" „ლოკომოტივზე" ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, მაგრამ უკვე უსწრებს რუსულ კლუბს.

მადრიდის „ატლეტიკომ" შოტლანდიურ „აბერდინს" უმასპინძლა და ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, 2:0 მოუგო. შოტლანდიელებს ახლა 3 თამაშში მხოლოდ 1 ქულა აქვთ და მათი შანსი თეორიულია. „ატლეტიკო" პირველი ტაიმის მიწურულს **დიეგო ფორლანის** პენალტმა დააწინაურა, 61-ე წუთზე კი, **ლანგფილდის** ავტოგოლის წყალობით ანგარიში 2:0 გახდა. ჯგუფის ლიდერი „პანათინაიკოსია" (6 ქულა 2 თამაშში) – ბერძნები ამ ტურში ისვენებდნენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ატლეტიკო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 3. კოპენჰაგენი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. ლოკომოტივი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 5. აბერდინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

### C ჯგუფი

**ელფსბორგი-მლადა 1:3**

**ელფსბორგი:** ვილანდი, მ. ანდერსონი, აუგუსტსონი, ბიორკი (84. ბახრამი), კარლსონი, მობეკი, ილოლა (70. ავდიჩი), იშიზაკი, ა. სვენსონი, კინი (74. ბერგლუნდი), მ. სვენსონი.

**მლადა:** პიზანოვსკი, კოპიჩი, პროჰაზკა, ჰრდლიჩკა, მატეიოვსკი, რაინოხი, ვანეჩეკი (46. კალინა), ვორიშეკი, კისელა (90. პოლაჩეკი), მენდი, რეზნიჩეკი (48. ტაბორსკი).

**გოლები:** 1:0 მ. სვენსონი (31), 1:1 ტაბორსკი (67), 1:2 მენდი (79), 1:3 ვორიშეკი (90)

**მაყურებელი:** 3 631

**აეკ-ფიორენტინა 1:1**

**აეკ:** მორეტო, არუაბარენა, დელასი, პაპაცოპულოსი, რამოსი, კონე (55. მანდუკა), ნსალივა (71. კაფესი), ტოშერი, ბლანკო, ჟულიო სეზარი (82. პაპასი), მანუ.

**ფიორენტინა:** ფრეი, ბალცარეტი, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, იორგენსენი, კუჟმანოვიჩი (82. გობი), ლივერანი, მონტოლივო, ოსვალდო, ვიერი (86. პაცინი).

**გოლები:** 0:1 ოსვალდო (30), 1:1 ბალცარეტი (35-საკ. კარში)

**მაყურებელი:** 26 386

ამ ტურის შემდეგ, C ჯგუფში შვედური „ელფსბორგი" აუტსაიდერის რანგშია – სკანდინაველებმა საკუთარ მოედანზე ჩეხურ „მლადასთან" 1:3 წააგეს და სამ თამაშში მხოლოდ 1 ქულა აქვთ. ჩეხებმა, როგორც იცით, პირველი თამაში „ვილიარეალთან" 1:2 წააგეს და ამ გამარჯვებით ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი შეინარჩუნეს.

ჯგუფის ლიდერი „ფიორენტინა" კი ათენის აეკ-ს ესტუმრა და ფრეს (1:1) მიაღწია, რითაც ფლორენციულმა კლუბმა ლიდერობა შეინარჩუნა და შესაბამისად, იტალიურ გუნდს ამ ფრის გამო ვერავინ გაკიცხავს. თავიდან ფლორენციელები იგებდნენ – „ფიორენტინა" 30-ე წუთზე **ოსვალდომ** მოხდენილი დარტყმით დააწინაურა, მაგრამ ბერძნებმა წონასწორობა 5 წუთში აღადგინეს – **ფედერიკო ბალცარეტიმ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. „ვილიარეალი" ამ ტურში ისვენებდა და როგორც ხედავთ, ძველებურად მეორე ადგილზეა. ფაქტია, რომ „ფიორენტინა" და „ვილიარეალი" ამ ჯგუფიდან უპრობლემოდ უნდა გავიდნენ, მესამე საგზურისთვის ბრძოლა კი „მლადას", აეკ-სა და „ელფსბორგს" შორის გაიმართება, თუმცა ამ უკანასკნელს ძალიან მიზერული შანსი აქვს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 3 | 1 | 2 | 0 | 8-3 | 5 |
| 2. ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. მლადა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 4. აეკ | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 5. ელფსბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-10 | 1 |

### D ჯგუფი

**ჰამბურგი-რენი 3:0**

**ჰამბურგი:** როსტი, ბოატენგი, კომპანი, მატიისენი, რაინჰარდტი, ბენჟამინი, დე იონგი (68. დემელი), ტროხოვსკი, ვან დერ ვაარტი (85. ზიდანი), კასტელენი, ოლიჩი (79. ჩუპო-მოტინგი).

**რენი:** პუპლენი, ბორნი, შეირუ, ედმანი (46. ტომერი), ფანი (80. ბადენი), ჰანსონი, ლერუა, მარვო, სორლენი, ბრაიანდი, ვილტორი (57. ემერსონი).

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (30), 2:0 ჩუპო-მოტინგი (84), 3:0 ზიდანი (90-პენ)

**მაყურებელი:** 36 472

**ბრანი-დინამო (ზ) 2:1**

**ბრანი:** ოპდალი, ბიარნასონი, დალი, ჰანსტვეიტი, ბაკე, კორალესი, ჰუსეკლეპი (90. ბიორნსონი), მუნი, სოლი, ჰელსტადი, კარადაში (85. გუნტვეიტი).

**დინამო:** კოხი, კალე, დრპიჩი, ეტო, სამირი (46. კარლოსი), მოდრიჩი, პოკრივაცი, შილდენფელდი, ვუკოიევიჩი (79. გუელა), ბალაბანი (60. ტადიჩი), მანძუკიჩი.

**გოლები:** 1:0 ბიარნასონი (45-პენ), 1:1 ვუკოიევიჩი (48), 2:1 ბაკე (72)

**გაძევება:** შილდენფელდი (44. დინამო)

**მაყურებელი:** 9 962

„ჰამბურგის" ფეხბურთელებმა თავიანთ მწვრთნელ **ჰუუბ სტევენსს** დაბადების დღეზე ჩინებული საჩუქარი გაუკეთეს – HSV-მ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩიც მოიგო, თანაც, ამჯერად გაცილებით სოლიდური თამაშითა და ანგარიშით: 3:0 ფრანგულ „რენთან". ამ გამარჯვების შემდეგ ცხადია, რომ თუ სასწაული არ მოხდა, ჩრდილოგერმანული კლუბი ჯგუფიდან უპრობლემოდ გავა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით „რენზე". გერმანელები პირველ ტაიმში აშკარა უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ რეალური საგოლე მომენტის შექმნას დიდხანს ვერ ახერხებდნენ. ნავსი 30-ე წუთზე გოლით გატყდა – **ივიცა ოლიჩმა** ბრძოლაში ბურთი მოიპოვა და კაპიტან **ვან დერ ვაარტს** უპასა, რომელმაც „რენის" მეკარე **პუპლენს** 13 მეტრიდან მარჯვენა კუთხეში გაუტანა. ფრანგებმა ვერც მეორე ტაიმში შეძლეს უპირატესობის მოპოვება, მეტიც: მატჩის მიწურულს კიდევ ორი გოლი გაუშვეს. ორივე გოლი შეცვლაზე შესული ფეხბურთელების, ახალგაზრდა **ჩუპო-მოტინგისა** და **მოჰამედ ზიდანის** (პენალტით) ანგარიშზეა.

ამასობაში „ბრანმა" ზაგრების „დინამო" 2:1 დაამარცხა, მე-3 ადგილზე აინაცვლა და ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვს. ნორვეგიელები პირველი ტაიმის ბოლოს **ბიარნასონის** პენალტით დაწინაურდნენ – პენალტს დინამოელი **შილდენფელდის** გაძებაც მოჰყვა, რადგან სწორედ ამ უკანასკნელმა დაარღვია თამაშის წესები. მიუხედავად კაცნაკლულობისა, სტუმრებმა მეორე ნახევრის სტარტზე ანგარიში მაინც გაათანაბრეს (**ვუკოიევიჩი**, 48), მაგრამ „ბრანმა" მაინც შეძლო ათკაციანი „დინამოს" დამარცხება. გამარჯვების გოლი 72-ე წუთზე **ბაკემ** გაიტანა. ამ ტურში „ბაზელი" ისვენებდა – შვეიცარიელები მეორე ადგილზე არიან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ბრანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 5. რენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | [illegible] |

### E ჯგუფი

**სპარტა-სპარტაკი 0:0**

**სპარტა:** გრიგარი, კადლეცი, კლადრუბსკი, რჟეპკა, ზაბავნიკი, ჰორვატი, კისელი, პოსპეში, დოშეკი, რეჟეკი (80. ლიმბერსკი), სლეპიჩკა.

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, დედურა, გედერი, ივანოვი, შტრანცლი, კოვალჩუკი, სოავა, ტიტოვი, ტორბინსკი, ძიუბა (78. პრუდნიკოვი), ველიტონი (87. ბაჟენოვი)

**მაყურებელი:** 6 307

**ციურიხი-ტულუზა 2:0**

**ციურიხი:** ლეონი, ლამპი, როშა, შნაიდერი, ტიჰინენი, აბდი, შიკაუი (90. შტაჰელი), კონდე, ოკონკვო, ალფონსი (62. ეუდისი), რაფაელი (89. შონბახლერი).

**ტულუზა:** დუშე, არიბაჟი, ებონდო, ფოფანა, ილუნგა, დიეზი, ემანა, ფაბინიო (56. სისოკო), ელმანდერი (69. სანტუში), ჟინიაკი, მანსარი (77. ბერგუნიო).

**გოლები:** 1:0 ტიჰინენი (42), 2:0 რაფაელი (69-პენ)

**მაყურებელი:** 10 600

ამ ჯგუფში მეორე ტურის ორი გამარჯვებული შეხვდა ერთმანეთს – პრალაში „სპარტამ" და მოსკოვის „სპარტაკმა" 0:0 ითამაშეს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ლევერკუზენის" „ბაიერს", რომელიც ისვენებდა, სახლში „სპარტას" დამარცხება მართებს იმისათვის, რომ ჯგუფიდან გავიდეს. ჯგუფს კი კვლავინდებურად „ციურიხი" ლიდერობს, რომელმაც საკუთარ მოედანზე „ტულუზა" აუღელვებლად დაამარცხა (2:0).



ბოლტონ-არისი. ბერძნებს არანის გოლი არ ეყოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 4. ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 5. ტულუზა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

### F ჯგუფი

**ბოლტონი–არისი 1:1**

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სიდი, ჰანტი, მეიტე, ო'ბრაიენი, იანაკოპულოსი, გუტრი, მაკკანი (13. ალონსო), ნოლანი, ვილჰელმსონი (65. დიუფი), დეივისი (65. ანელკა).

**არისი:** ჩალკიასი, კარაბელასი, დოლჩე, პაპადოპულოსი, გუაირო, არანი (61. ხავიტო), გარსია (83. გოგოლოსი), ნებეგლერასი, პრიტასი, სისტოი, კოკე (87. კირიაკოსი).

**გოლები:** 0:1 არანი (44), 1:1 იანაკოპულოსი (90)

**მაყურებელი:** 10 229

**ბრაგა–ბაიერნი 1:1**

**ბრაგა:** პაულო სანტოსი, ვალდელომარი, ფრეშო, ჟოაო პერეირა, პაულო ჟორჟე, ჟორჟინიო, ბრუმი, კრუზი (58. ჟაილსონი), ვალდინიო (52. ჟოაო პინტუ), ლინცი, ვენდერი (69. მადრიდი).

**ბაიერნი:** კანი, ჰამით ალთინთოფი (81. სოსა), ლამი, ლელი, ლუსიო, დემიკელისი, რიბერი (90. სანიოლი), ვან ბომელი, ზე რობერტო, კლოზე (67. შლაუდრაფი), ტონი.

**გოლები:** 0:1 კლოზე (47), 1:1 ლინცი (67)

**მაყურებელი:** 12 000

„ბაიერნს" შეეძლო, გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლა გაენაღდებინა, მაგრამ მიუნხენელებმა ბრაგაში მხოლოდ და მხოლოდ ფრე გაახერხეს (1:1). თუმცა **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდი კვლავინდებურად ჯგუფის ლიდერია და ბოლო ტურში მეორეადგილოსან „არისს" უმასპინძლებს, რომელმაც ამ ტურში ბოლტონიდან წაიღო ქულა (1:1). აღსანიშნავია, რომ „ბაიერნი" **მიროსლავ კლოზეს** გოლით იგებდა, მაგრამ 66-ე წუთზე **როლანდ ლინცმა** რეკორდმაისტერის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და **ოლივერ კანს** მნიშვნელოვანი გოლი გაუტანა. შესაბამისად, „ბრაგამ" მომდევნო ეტაპზე გასვლის რეალური შანსი შეინარჩუნა. საინტერესოა ისიც, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში, **კანისა** და ლინცის საჰაერო ორთაბრძოლას მათივე შეტაკება მოჰყვა – ოლი მეტოქე გუნდის თავდამსხმელისკენ იწევდა. „ვულკანი" **ლამმა, დემიკელისმა** და **ლუსიომ** ძლივს შეაკავეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| 2. არისი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 3. ბოლტონი | 3 | 0 | 3 | 0 | 4-4 | 3 |
| 4. ბრაგა | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 5. ცრვენა ზვეზდა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

### G ჯგუფი

**ხეტაფე–ჰაპოელი 1:2**

**ხეტაფე:** უსტარი, ბელენგერი (67. სოუზა), კონტრა, დიასი, სინიორინო, ალბინი, კასკერო (46. მანუ), გრანერო, დე ლა რედი, კეპა (46. ბრაულიო), პაბლო.

**ჰაპოელი:** ენიეამა, ანტები, ბონდარი, დოანი, გაბრიელი, აბედი (75. ნაჩო), აბუტბული, ბადირი, დაგო (86. ასულინი), შრური (82. ოვედი), ფაბიო ჟუნიორი.

**გოლები:** 0:1 ბადირი (5), 0:2 დაგო (31), 1:2 პაბლო (90-პენ)

**მაყურებელი:** 5 000

**ტოტენჰემი–ოლბორგი 3:2**

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ბეილი, შიმბონდა, დოუსონი, ლი (46. ბენტი), ჯენასი (46. ჰადლსტოუნი), ლენონი, მალბრანკი, სოკორა, ბერბატოვი (74. ბოატენგი), კინი.

**ოლბორგი:** ქარიმ ზაზა, ხალიფი, იაკობსენი, ოლესენი, აუგუსტინსენი, ენევოლდსენი (74. კურტი), იოჰანსონი, პედერსენი, რისგაარდი, ნომვეტე (61. ლინდსტრიომი), პრიცა.

**გოლები:** 0:1 ენევოლდსენი (6), 0:2 რისგაარდი (38), 1:2 ბერბატოვი (47), 2:2 მალბრანკი (51), 3:2 ბენტი (66)

**მაყურებელი:** 29 758

**ბერნდ შუსტერის** ყოფილმა კლუბმა „ხეტაფემ" თელ ავივის „ჰაპოელს" უმასპინძლა და მოულოდნელად 1:2 დამარცხდა. ებრაელებს ორივე თამაში წაგებული ჰქონდათ და ამ გამარჯვებით ჯგუფიდან გასვლისთვის მებრძოლთა მარაქაში გაერივნენ. „ტოტენჰემმა" და დანიურმა „ოლბორგმა" კი ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს. თავად განსაჯეთ, პირველი ტაიმი დანიელებმა 2:0 მოიგეს, მაგრამ მეორე ტაიმში ინგლისურმა კლუბმა თამაში თავის სასიკეთოდ შეატრიალა. ამრიგად, ჯგუფს სათავეში ლონდონური კლუბი მოექცა. ისე კი, ჯგუფიდან გასვლის შანსს ხუთივე გუნდი ინარჩუნებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 2. ანდერლეხტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ხეტაფე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ჰაპოელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 5. ოლბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |

### H ჯგუფი

**პანიონიოსი–გალათასარაი 0:3**

**პანიონიოსი:** ტამბასისი, მანიატისი, პლეტჩი, სპიროპულოსი, ფერნანდესი, გუნდულაკისი (80. კონდი), კუმორძი (65. სკუფალისი), მაისტროვიჩი, მაკოსი, არავიდისი (66. კუცოპულოსი), ჯებური.

**გალათასარაი:** ორქუნი, სერვეთი, სონგი, ვოლქანი, ლინკოლნი, ლინდეროტი (46. ჰაქან შუქური), მეჰმეთ თოფალი, არდა (80. მეჰმეთ გუვენი), უგური, სერქანი (86. საბრი), ჰასან შაში.

**გოლები:** 0:1 სერქანი (50), 0:2 სონგი (63-პენ), 0:3 ჰაქან შუქური (82)

**გაძევება:** მაკოსი (64. პანიონიოსი)

**მაყურებელი:** 7 500

**ჰელსინგბორგი–აუსტრია 3:0**

**ჰელსინგბორგი:** დ. ანდერსონი, კ. ანდერსონი, იაკობსონი, რონინგბერგი, ტამბურა, ვალსტედტი, დალი (72. ლანტცი), სკულასონი (85. ჩანსა), ლარსონი, მაკონდელე, ომოტოიოსი (89. კარეკეზი).

**აუსტრია:** ფორნეცი, ბაკი, გერკალიუ, მეტცი (84. სულიმანი), შიმერი, ტროიანსკი (82. ერტლი), აჩიმოვიჩი, სტანდფესტი, აიგნერი, ლაფატა, ოკოტი (72. მაირი).

**გოლები:** 1:0 სკულასონი (47), 2:0 ომოტოიოსი (66), 3:0 ომოტოიოსი (70)

**მაყურებელი:** 8 243

„პანიონიოსისა" და „გალათასარაის" მატჩი გერმანელი მწვრთნელების დაპირისპირება იყო, რომელშიც თურქული გრანდის თავკაცმა **კალი ფელდკამპმა** ბერძენთა დამრიგებელ **ევალდ ლინენს** აჯობა (3:0). ორი წაგების შემდეგ მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვებით, „გალათასარაის" ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი გაუჩნდა. ბერძნები თურქებს 2 ქულით კი ჩამორჩებიან, მაგრამ მათზე ერთი შეხვედრით ნაკლები აქვთ გამართული. ჯგუფის მეორე მატჩშიც გამანადგურებელი ანგარიში დაფიქსირდა – „ჰელსინგბორგმა" „აუსტრიას" გადაუგრბინა (3:0) და ჯგუფის ლიდერია, ავსტრიელები კი 0 ქულით ბოლო ადგილზე იმყოფებიან. ფრანგული „ბორდო", რომელიც ამ ტურში ისვენებდა, ასპროცენტიანი მაჩვენებლით მეორე პოზიციაზეა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2. ბორდო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 3. გალათასარაი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| 4. პანიონიოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 5. აუსტრია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |




ბრაგა-ბაიერნი. რამ გააბრაზა კანი?

BUNDES LIGA

## გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტურის წინ

# ჩრდილოური დერბი ბრემენში

**გუშინ**

| | |
|---|---|
| ჰანზა–ჰანოვერი | 0:3 |

**დღეს**

შტუტგარტი–ბორუსია (დ)
შალკე–ბოხუმი
ვერდერი–ჰამბურგი
ჰერტა–ლევერკუზენი
კოტბუსი–კარლსრუე
ვოლფსბურგი–აინტრახტი

**ხვალ**

არმინია–ბაიერნი
დუისბურგი–ნიურნბერგი

დღეს მთელი საფეხბურთო გერმანიის ყურადღება ბრემენისკენ იქნება მიპყრობილი, სადაც ერთმანეთს „ბაიერნის" მდევრები, „ვერდერი" და „ჰამბურგი" დაუპირისპირდებიან. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრემენულ კლუბს მცირე უპირატესობა აქვს – „ვერდერი" უფრო დასვენებულია, რადგან ჩემპიონთა ლიგის მატჩი ოთხშაბათს ჰქონდა. „ჰამბურგმა" კი უეფას თასზე ხუთშაბათს ითამაშა, თუმცა დიდი ჯაფა არ დასდგომია, „რენი" 3:0 დაამარცხა. ის ფაქტი, რომ სეზონის დასრულების შემდეგ **ჰუუბ სტევენსი** „ეინდჰოვენის" მთავარი მწვრთნელი გახდება, HSV-მ მშვიდად გადაიტანა და წინა ტურში როსტოკის „ჰანზა" უპრობლემოდ დაამარცხა. შესანიშნავ ხასიათზეა „ვერდერიც" – ბრემენელებმა ხომ მადრიდის „რეალს" მოუგეს. დღეს „მუსიკოსებს" **დიეგო** უბრუნდებათ, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში დისკვალიფიცირებული იყო. თუკი ამ შეხვედრაში რომელიმე გუნდი გაიმარჯვებს, მინიმუმ ერთი დღით გალიდერდება, რადგან „ბაიერნი" ხვალ თამაშობს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ვერდერის" რიგებში ასპარეზობს **ბუბაკარ სანოგო** – თავდამსხმელი, რომელიც „მუსიკოსებში" სეზონის დაწყების წინ სწორედ „ჰამბურგიდან" გადავიდა, სადაც ერთი სეზონი ძაჰყო და თავი ვერაფრით გამოიჩინა. შესაბამისად, სანოგო ძალიან მოტივირებულია და უნდა, რომ ყოფილი კლუბის ხელმძღვანელებს თავისი შესაძლებლობები დაუმტკიცოს.

*„ეს მატჩი პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კარგად მახსოვს, როგორ მისტვენდნენ „ჰამბურგის" გულშემატკივრები, როცა ამ გუნდში ვთამაშობდი. HSV-ში თავი კარგად არასდროს მიგრძვნია, „ვერდერში" კი ბედნიერი ვარ. ძალიან მინდა, რომ ყოფილ გუნდს მინიმუმ ერთი გოლი გავუტანო,"* – აცხადებს სანოგო. ამ თამაშის უმთავრესი ინტრიგა კი ის გახლავთ, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ დიეგო და **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, ბუნდესლიგის ვარსკვლავები წარსდგებიან.



დიეგო და ვან დერ ვაარტი

გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „შტუტგარტი" როგორც იქნა, ფორმაში შევიდა და ბუნდესლიგაში მოპოვებულ ზედიზედ ოთხ გამარჯვებას ჩემპიონთა ლიგაში მოგებაც (რეინჯერსთან) მოაყოლა. შვაბები ყველაფერს ილონებენ იმისათვის, რომ წარმატებული სერია კრიზისში მყოფ დორტმუნდის „ბორუსიასთანაც" გააგრძელონ. თუმცა „შტუტგარტს" **მარიო გომესის** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, რაც ამ გუნდისთვის სერიოზული დანაკლისია. „დორტმუნდი" კი მართლაც უმძიმეს მდგომარეობაშია. ყოველ შემთხვევაში, BVB-მ „ნიურნბერგთან" ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა და გუნდის მთავარი მწვრთნელი **თომას დოლიც** ამბობს, რომ ვითარება ძალიან სერიოზულია. საკმარისია, „ბორუსიამ" დღესაც წააგოს, რომ კრიზისი კიდევ უფრო დამძიმდება და გამორიცხული არც ისაა, რომ მარცხის შემთხვევაში დოლი უმუშევარი დარჩეს. BVB-ს დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს: **მარკუს ბრჟენსკა** და **კრისტიან ვიორნსი** ტრავმირებულები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ დაცვის ცენტრში **მარტინ ამედიკისა** და **რობერტ კოვაჩის** ერთობ სუსტ დუეტს ვიხილავთ.

მიმდინარე სეზონის უმთავრესი აღმოჩენა და უდიდესი სენსაცია „კარლსრუე" ამჯერად აუტსაიდერ „კოტბუსს" სტუმრობს. ბადენელთა თავკაცი **ედე ბეკერი** ცენტრალურ მცველ **მაიკ ფრანცს** ვერ დაიხმარს, რაც KSC-სთვის უდიდესი დანაკლისია. „კარლსრუეს" ტრავმირებული **ბრედლი კარნელიც** არ ეყოლება და მის პოზიციაზე ბეკერს ორი ვარიანტი აქვს: ან გამოჯანმრთელებული **იაშვილი** უნდა ათამაშოს, ანაც **ფრაისი**. „კოტბუსი" უმძიმეს მდგომარეობაშია, რადგან **პრასნიკარის** გუნდს სამშვიდობო ზონას უკვე 6 ქულა აშორებს. თანაც, „ენერგის" ძალიან უჭირს თავდასხმაში – ამ გუნდს 14 თამაშში მხოლოდ 10 გოლი აქვს გატანილი.

ჩემპიონთა ლიგაში მიღწეული საპატიო ფრის შემდეგ (ვალენსიაში 0:0), „შალკე" აქცენტს ისევ ბუნდესლიგაზე გადაიტანს. **ლევან კობიაშვილის** გუნდმა წინა ტურში „ჰანოვერში" იმარჯვა (3:2), ამჯერად კი „რურის მცირე დერბი" აქვს „ბოხუმთან" და გელზენკირხენელთათვის ამ მატჩის მოგება აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ **მარსელ კოლერის** გუნდი ძალიან სახიფათო მეტოქეა – „ბოხუმმა" ზედიზედ სამი თამაში მოიგო და გასავარდნ ზონას თავი გვარიანად დააღწია.

სეზონის დასაწყისში ბერლინის „ჰერტას" პოზიტიური ნიშნები ეტყობოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში დედაქალაქელები ისევ საშუალო დონის გერმანულ გუნდად დარჩნენ და კარლსრუეში განცდილი მარცხის შემდეგ მე-9 ადგილზე იმყოფებიან. გუნდის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ „ჰერტა" 2010 წელს ბუნდესლიგაში მესამე ადგილზე უნდა გავიდეს. ეს მათი მიზანია. მანამდე კი, უფრო სწორად დღეს, ბერლინელებმა ლევერკუზენის „ბაიერს" უნდა უმასპინძლოს. **მიხაელ სკიბეს** გუნდმა უეფას თასზე დაისვენა და ამ მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდება. აღსანიშნავია, რომ „ჰერტას" საშინაო შეხვედრებიდან ყველაზე ცუდი ბალანსი სწორედ „ლევერკუზენთან" აქვს (3-5-5). დღესვე, **ფელიქს მაგათის** „ვოლფსბურგი" მეზობელ „აინტრახტს" დაუხვდება. მე-12 ადგილი ნამდვილად არ არის ის პოზიცია, რომელიც მაგათს აკმაყოფილებს. შესაბამისად, დღეს „მგლები" ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ აინტრახტელები „ფოლკსვაგენარენიდან" ხელცარიელები გაუშვან.

„ბაიერნი" კი, როგორც უკვე გითხარით, ხვალ თამაშობს. რეკორდმაისტერმა უეფას თასზე ბრაგაში ფრე ითამაშა და ახლა ბილეფელდის „არმინიას" სტუმრობს. უნდა შევახსენოთ, რომ გასულ სეზონში „არმინიამ" მიუნხენურ გიგანტს 2:1 მოუგო. თუმცა ეს უკვე სულ სხვა „ბაიერნია" და არც ბილეფელდელები არიან მოწოდების სიმაღლეზე. **ერნსტ მიდენდორპის** გუნდმა ბოლო 9 თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ბილეფელდელები ფრთხილად უნდა იყვნენ – დიდი შანსია, რომ ამ გუნდმა გასავარდნ ზონაში გამოიზამთროს. ერთობ არამდგრადი ვითარებაა მიუნხენშიც – „ბაიერნში" ბოლო დროს წინა პლანზე სხვადასხვა დისკუსიებმა წამოისია და გაზეთებში მთავარი თემა ჯერ **ჰიტცფელდის** შემცვლელის საკითხი, მერე კი **სანიოლისა** და **ისმაელის** განცხადებები იყო, რომლებმაც ზამთარში FCB-ს დატოვების სურვილი გამოთქვეს. ხვალ ჰიტცფელდი ისეთ მოთამაშეებს ვერ დაიხმარს, როგორებიც არიან **ლუსიო, პოდოლსკი, იანსენი** და **შვაინშტაიგერი**. ხვალვე, ერთმანეთს გასავარდნი ზონის ორი გუნდი დაეჯახება: „დუისბურგი" საკუთარ „MSV არენაზე" „ნიურნბერგს" მიიღებს, რომელიც ცოტა არ იყოს გადაღლილია - **ჰანს მაიერის** გუნდს უეფას თასზე ძალიან მძიმე მატჩი ჰქონდა (2:2 „ზენიტთან", სანქტ-პეტერბურგში).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 14 | 9 | 4 | 1 | 30-8 | 31 |
| 2. ვერდერი | 14 | 9 | 3 | 2 | 32-17 | 30 |
| 3. ჰამბურგი | 14 | 9 | 3 | 2 | 22-10 | 30 |
| 4. კარლსრუე | 14 | 8 | 2 | 4 | 16-16 | 26 |
| 5. ლევერკუზენი | 14 | 7 | 3 | 4 | 24-11 | 24 |
| 6. ჰანოვერი | 15 | 7 | 3 | 5 | 22-20 | 24 |
| 7. შალკე | 14 | 5 | 7 | 2 | 21-14 | 22 |
| 8. შტუტგარტი | 14 | 7 | 1 | 6 | 20-20 | 22 |
| 9. ჰერტა | 14 | 6 | 1 | 7 | 18-19 | 19 |
| 10. ბოხუმი | 14 | 5 | 3 | 6 | 23-22 | 18 |
| 11. აინტრახტი | 14 | 4 | 6 | 4 | 14-19 | 18 |
| 12. ვოლფსბურგი | 14 | 4 | 4 | 6 | 23-25 | 16 |
| 13. ბორუსია (დ) | 14 | 4 | 3 | 7 | 18-24 | 15 |
| 14. არმინია | 14 | 4 | 3 | 7 | 16-31 | 15 |
| 15. ჰანზა | 15 | 4 | 2 | 9 | 14-23 | 14 |
| 16. ნიურნბერგი | 14 | 3 | 3 | 8 | 18-24 | 12 |
| 17. დუისბურგი | 14 | 3 | 0 | 11 | 13-25 | 9 |
| 18. კოტბუსი | 14 | 1 | 5 | 8 | 10-26 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანდრეა პირლო

ინტერვიუ ანდრეა პირლოსთან

# ნეტავ, ფრანგებს კიდევ მოვუგებდეთ

„მილანისა“ და იტალიის ნაკრების ნახევარმცველი ანდრეა პირლო „გაძეტა დელლო სპორტს“ ესაუბრა. ჟურნალისტმა ყურადღება გაამახვილა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ლიპისა და დონადონის ნაკრებებს შორის სხვაობა, დანახული ფეხბურთელის თვალით, ევრო 2008 და ამ უმნიშვნელოვანესი ტურნირის სავარაუდო ვარსკვლავები. ანდრეა წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი მთავარი გმირია. უამრავი ექსპერტი მას ამ წუთას ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ასახელებს. ამიტომაცაა, რომ ამ ბოლო დროს მის გარშემო ათასგვარი სატრანსფერო სპეკულაცია გაჩაღდა. თავად ფეხბურთელი ასეთ ხმებზე კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ „მილანის“ ბოსმა ადრიანო გალიანიმ ამის შესაძლებლობა კატეგორიულად გამორიცხა.

**- ანდრეა, რა შეგრძნება დაგეუფლათ მას მერე, რაც ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვეთ?**

- ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს მარტო ჩვენ, ფეხბურთელებს კი არა, მთელ იტალიურ ფეხბურთს სჭირდებოდა.

**- შეიძლება, გლაზგოში მოგებას მხოლოდ დონადონის პირადი გამარჯვება ვუწოდოთ?**

- ძალიან ძნელი როლი დაეკისრა დონადონის, მას მარჩელო ლიპი უნდა შეეცვალა მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონების გუნდში. რობერტოს იმ მომენტში არ ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება და პირველ თამაშებში ძალიან გაგვიჭირდა. ცოტა ხნის მერე მივხვდით, რომ უფრო მეტი თავდადება გვჭირდებოდა, ვიდრე ადრე. მას მერე ჩვენი მწვრთნელი ძალიან გაიზარდა როგორც სპეციალისტი, თანაც ერთი წუთითაც არ უგრძვნია უნდობლობა ფეხბურთელების მხრიდან. მას მუდმივად ერთი მიზნით შეკრული გუნდი ჰყავდა - ყოველ თამაშში პირველიდან ბოლო წუთამდე.

**- როგორ მოახერხა თქვენი ნდობის მოპოვება?**

- თავისი კორექტული დამოკიდებულებით ფეხბურთელებთან. ის არავის გამოწვევას არ ცდილობდა, კონფლიქტამდე საქმე არავისთან მიჰყავდა. პირიქით, დაჟინებით სურდა ნაკრებში იმ მოთამაშეების დაბრუნება, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გუნდიდან წავიდნენ. მისმა ასეთმა დამოკიდებულებამ ნაკრების მოქმედ ფეხბურთელებს თავდაჯერება შემატა.

**- ჰო, სწორედ მან დააბრუნა ნაკრებში „ბებერი“ პანუჩი, ვინც გადამწყვეტი გოლის ავტორი გახდა.**

- დიახ, ნაკრების დამრიგებლის ძალა ამაშიც გამოჩნდა. ის ყურადღებას არ აქცევდა ვარსკვლავების მჟღერ სახელებს, არ აინტერესებდა მათი საპასპორტო მონაცემები, იძახებდა ყველას, ვინც კონკრეტულ მომენტში კარგ ფორმაში იყო. შეიძლება, ამის მაგალითად დავასახელოთ გამოცდილი მაქს ტონეტო და პერსპექტიული რაფაელე პალადინო.

**- და ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონების, ტოტის, ნესტასა და მატერაცის გარეშე დარჩა.**

- მათ ნაცვლად წამყვან როლებზე მოხვდნენ ბარძალი, ვინც ეს შესარჩევი ძალიან ძლიერად ჩაატარა. დი ნატალე საერთოდ შეუცვლელი გახდა ნაკრებისთვის, ადრე კი მას ფართო საზოგადოება ალბათ არც იცნობდა.

**- დონადონი იმასაც უცდის, თუ როდის მოიფიქრებს ნესტა საბოლოოდ, დაბრუნდეს თუ არა ნაკრებში.**

- ჩემი აზრით, ალესანდრომ საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიიღო და საჭიროა, რომ ადამიანის თავისუფალ ნებას წინ არ აღვუდგეთ.

**- რა განსხვავებაა ლიპისა და დონადონის ნაკრებებს შორის?**

- ამ ორ გუნდს შორის, ალბათ, უფრო მეტი მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება. დღეს ჩვენში გამარჯვებულის სულია ჩასახლებული, საკუთარი ძალების უფრო მეტად გვჯერა, ვიდრე ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინ. ახალმა ფეხბურთელებმა კი ჩვენ ახლებური მოტივაციით აგვავსეს.

**- გატუზო-პირლო-ამბროზინი. რობერტო დონადონიმ ფსონი „მილანის“ ნახევარდაცვაზე გააკეთა. არადა, არცერთი თქვენგანი პატარა აღარაა (ამბროზინი 30, გატუზო 28, პირლო 28. რედ.). საფეხბურთო სეზონი კი საკმაოდ ხანგრძლივია. არ გეშინიათ, რომ დაიღლებით?**

- ყოველ სეზონში ასე ხდება. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე აუცილებლად გვექნება ცოტა დრო დასასვენებლად. იქიდან გამომდინარე, თუ როგორი იქნება საკლუბო სეზონის დასასრული, აუცილებლად უნდა შევძლოთ ემოციებისგან დაცლა და მნიშვნელოვანი საქმისთვის მშვიდი გონებით სამზადისი.

**- პირველ რიგში ვისთან ისურვებდით შეხვედრას?**

- საფრანგეთთან.

**- მათი კიდევ ერთხელ დამარცხება დაცინვა იქნებოდა.**

- წინააღმდეგი არ ვიქნებოდი.

**- კიდევ ვისთან?**

- ესპანეთი. ეს გუნდი ყოველთვის გადამწყვეტ მომენტებში იფუშება, მაგრამ ამ ჯერზე მათ ძალიან ძლიერი გუნდი უნდა ჰყავდეთ.

**- თქვენი აზრით, ავსტრია-შვეიცარიაში ვინ გამოავლენს ყველაზე უკეთ საკუთარ პოტენციალს? იბრაჰიმოვიჩი, კრისტიანო რონალდო თუ ვინმე სხვა?**

- მე ძალიან მომწონს რიბერი და ფაბრეგასი. ასევე არ დაგავიწყდეთ ვან ნისტელროოი.

**- მარჩელო ლიპის აზრით, წლევანდელი ოქროს ბურთი თქვენ გეკუთვნით.**

- მადლობა მას, მაგრამ ეს ჯილდო სავსებით დამსახურებულად კაკას უნდა გადაეცეს. მას მუდამ გადამწყვეტი გოლები გააქვს. ევროპის ჩემპიონატი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად. მე მასზე ვეცდები თავის გამოჩენას.

**- ანდრეა, ცოტა ხნის წინათ, თქვენ დე როსისა და მატერაცისთან ერთად რეკლამაში გადაგიღეს...**

- შესანიშნავი იყო. ამბობენ, რომ ასეთი გადაღებებისთვის მინიმუმ 7 საათია საჭირო. არადა, ჩვენ სულ რაღაც ორი საათი დაგვჭირდა. თანაც საერთოდ არ დავღლილვართ. ან რა დაგვღლიდა, მთელ სარეკლამო კლიპში მაგიდას ვუზივართ.

ვარსკვლავი

# სან ვისენტედან მადრიდამდე

## რობინიოს 42 დღიანი ჯოჯოხეთი

15 წლის ასაკში უამრავი ნიჭიერი ბრაზილიელი ფეხბურთელი იმსახურებს პელეს შექებას. მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი რობინიო დე სოუზა ერთ-ერთი მათგანია. თუმცა იმ იშვიათ ფეხბურთელთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც პელეს იმედები გაუმართლა. ის ჯერ კიდევ თინეიჯერობისას გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით. 17 წლისა ის უკვე „სანტოსის“ შეუცვლელ ფეხბურთელად იქცა. მის თავბრუდამხვევ წარმატებას ყველა ერთნაირი სიხარულით არ შეხვედრია. ზოგს მართლა წრფელი გულით გაუხარდა პატარა და ღარიბი ბიჭის გამარჯვებები. ავაზაკებს კი ის მოეწონათ, რომ რობინიოს ფული გაუჩნდა და მისი გამოძალვა შეიძლებოდა - ფეხბურთელის დედა გამოსასყიდის გადახდის მოთხოვნით გაიტაცეს. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა. გთავაზობთ იმ გზის მოკლე აღწერას, რომელიც 23 წლის ფეხბურთელმა გაიარა სან ვისენტეს ლატაკთა კვარტალიდან მადრიდის პრესტიჟულ უბნებამდე.

6 წლის ასაკში **რობინიო** „ბეირა მარში“ თამაშობდა და, სხვათა შორის, **მარსელოს** გვერდით. ზუსტად იმ ფეხბურთელთან ერთად, ვის გვერდითაც ახლა „რეალში“ ასპარეზობს და ვინც „რეალის“ მარცხენა ფლანგს არანაკლებ კარგად აკონტროლებს ვიდრე თავის დროზე ამას **რობერტო კარლოსი** აკეთებდა. მათს წყვილს ბავშვობაშივე „ტყუპები“ შეარქვეს. ფეხბურთელების გარჩევა არც ახლაა ადვილი საქმე: სიმაღლეში განსხვავება სულ 2 სანტიმეტრია მარსელოს სასარგებლოდ, ფეხბურთელებს თითქმის ერთნაირი ვარცხნილობა და იდენტური აღნაგობა აქვთ. **ბეტინიო**, დღევანდელი ვარსკვლავების ბავშვობისდროინდელი მწვრთნელი იხსენებს: *„რობინიო, იმის გათვალისწინებით, რომ სიგამხდრისგან ლამის ლანდი გასდიოდა, ბურთს ისე ექცეოდა, თითქოს ჰიპნოზის ქვეშ ამყოფებდა. მისი ასაკისთვის ასეთი რამე თითქმის წარმოუდგენელი მეგონა.“*

სწორედ მისი წარმოუდგენლად თხელი აღნაგობის გამო ბუნებრივად ჩნდება ანალოგია გენიალურ **ზიკოსთან**. ვინც, როგორც ხუმრობენ, ბურთზე ოდნავ მძიმე იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, დაუჯერებელი ფინტები მაინც გამოსდიოდა. მათ შორის იყო ერთი განსხვავება: ზიკო დაბადებიდან ასეთი აღნაგობის იყო, რობინიო კი არა. ამ მდგომარეობამდე ის გაჭირვებამ მიიყვანა.

რობინიო პროვინციული საპორტო ქალაქის სან ვისენტეს ბანდიტურ უბანში დაიბადა და გაიზარდა. ეს ქალაქი სან პაულოდან სამხრეთით მდებარეობს. მამამისი ჟილვანი წყალგაყვანილობის სპეციალისტი იყო, დედამისი მარინა კი წლების განმავლობაში სახლში უმუშევარი იჯდა. მთელი ოჯახი ერთოთახიან თავშესაფარში (ძნელი იყო ადამიანს მისთვის საცხოვრებელი სახლი ეწოდებინა) ცხოვრობდა. ის, რომ ჩვეულებრივ ადამიანები დღეში სამჯერ იკვებებიან მომავალმა ვარსკვლავმა 12 წლის ასაკში „სანტოსის“ საფეხბურთო სკოლაში შეიტყო. ამ სკოლამ ის არამხოლოდ გაჭირვებისგან იხსნა, არამედ გზა გაუკვალა დიდი ფეხბურთისკენ. ათასობით მსურველს შორის „სანტოსის“ სკაუტებმა ის გამოარჩიეს, რაც მის ნიჭზე თავისთავად მეტყველებდა. 1999 წელს, პელემ გადაწყვიტა, რომ პოლიტიკა და ბიზნესი მისი საქმე აღარ იყო. მეფე დაუბრუნდა ფესვებს და „სანტოსში“ ბავშვთა შერჩევისა და მომზადების სისტემის სრულყოფას მოჰკიდა ხელი. სწორედ მაშინ აღმოაჩინა მან რობინიოს ტალანტი: ის 15 წლის ბავშვების ვარჯიშს ადევნებდა თვალს. რობინიო საოცარი სიმსუბუქით ეპყრობოდა ბურთს, ზედიზედ ატყუებდა მეტოქეებს, ფინტების გამაოგნებელი კასკადის გარდა, შესანიშნავად მუშაობდა გუნდზე... ერთი სიტყვით, პელეს ბავშვობა გაახსენდა. ვარჯიშის დასრულების შემდეგ მან რობინიოს დარჩენა სთხოვა და ცოტა ხნით მასთან ერთად ფეხბურთიც კი წაითამაშა. „მუხლები მიკანკალებდა. ჩემ წინ პელე იდგა, ხელს მართმევდა და ფეხბურთს მეთამაშებოდა“, - იხსენებს თავდამსხმელი. ამ შემთხვევის შემდეგ თინეიჯერი ფეხბურთელის მონდომება გაათკეცდა.

პირველად „სანტოსის“ ძირითად შემადგენლობაში რობინიო 17 წლისა მოხვდა და უმალ მის შეუცვლელ წევრად გადაიქცა. 24 თამაშში გატანილმა 9 გოლმა გუნდს დიდი დახმარება გაუწია ბრაზილიის ჩემპიონობის მოპოვებაში. მაშინდელი „სანტოსი“ ვარსკვლავების სიმრავლით გამოირჩეოდა. მთავარი მწვრთნელი იყო **ემერსონ ლეაო**, კარში იდგა **ფაბიო კოშტა** (დღემდე გუნდშია), დაცვაში **ალექსი** (ჩელსი) და **ლეო** (ბენფიკა), შუა ხაზში **რენატო** (სევილია), **ელანო** (მანჩესტერ სიტი) და **დიეგო** (ვერდერი). ამ უკანასკნელთან რობინიომ საოცარი დუეტი შექმნა და გუნდის ყოველი წარმატება, პირველ რიგში, მათი დიდი დამსახურება იყო. მეტოქეთა კართან ისინი საოცარ წარმოდგენებს დგამდნენ. 2004 წელს გუნდმა ზედიზედ მეორე საჩემპიონო ტიტული მოიპოვა. ამჯერად უკვე **ვანდერლეი ლუქსემბურგოს** ხელმძღვანელობით.

ბოლომდე იაზრებდა რა, რომ გუნდში შეუფასებელი მარგალიტი ჰყავდა, კლუბის პრეზიდენტმა **მარსელო ტეიშეირამ** თავდამსხმელს კონტრაქტი 2007 წლამდე გაუგრძელა, სადაც სატრანსფერო თანხად 25 მილიონი ევრო განისაზღვრა. თავად რობინიოს ხელფასი კი, ბრაზილიის პირობების კვალობაზე, საკმაოდ სოლიდური იყო. ამის წყალობით რობინიომ მოახერხა მშობლებისთვის სანტოსის პრესტიჟულ რაიონში კომფორტული საცხოვრებელი სახლის შეძენა. ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა, თავდამსხმელი არ აჩქარებდა მოვლენებს და ევროპაში წასვლას დაჟინებით არ ითხოვდა... მაგრამ მოხდა ის, რამაც ფეხბურთელს სასწრაფოდ სამშობლოდან გადახვეწა აიძულა. 2004 წლის ნოემბერში რობინიოს დედა ფულის გამოძალვის გამო გაიტაცეს. *„თითოეული ის დღე, იმ 42-დან, როცა მე დედაზე არაფერი ვიცოდი, ჩემთვის ჯოჯოხეთი იყო. მეჩვენებოდა, რომ თითოეული დღე წელიწადს გრძელდებოდა.“* მას შემდეგ რაც ყველაფერი დასრულდა (გათავისუფლების დეტალებზე ფეხბურთელის მოთხოვნით პოლიცია დუმს, მაგრამ კულისებში ამბობენ, რომ დედის გამოხსნა მას მილიონი დოლარი დაუჯდაო), ფეხბურთელს გაუჩნდა ბუნებრივი სურვილი, სასწრაფოდ დაეტოვებინა ბრაზილია. ეს სურვილი გაამძაფრა იმანაც, რომ ქვეყანაში მსგავსი დანაშაულების ბუმი დაიწყო, გაიტაცეს **გრაფიტეს, მარინიოს, ლუიშ ფაბიანოს, როჟერიოს** (ადგილობრივი ჩემპიონატის ვარსკვლავები) მშობლები.



რობინიო იმ იშვიათ ახალგაზრდა ფეხბურთელებს მიეკუთვნება, რომელთაც პელეს იმედები გაუმართლეს

2005 წლის აგვისტოს რობინიომ დიდი ბრძოლის შემდეგ „რეალთან“ კონტრაქტი გააფორმა. ეს უაზრო ომი „სანტოსმა“ წამოიწყო. მარსელო ტეიშეირამ მიუხედავად კონტრაქტში ჩაწერილი 25 მილიონისა, ტრანსფერით მეტი ფულის შოვნა გადაწყვიტა და სრულიად უკანონოდ 50 მილიონი მოითხოვა. **ფლორენტონო პერესმა,** რა თქმა უნდა, სრულიად ლოგიკურად, ამ თანხის გადახდაზე უარი განაცხადა. რობინიო იმაზეც კი წავიდა, რომ უარი თქვა ტრანსფერიდან მისთვის განკუთვნილ 2,5 მილიონზე (!), მაგრამ ამით ტეიშეირას გული ვერ მოალბო. მადრიდელები უფრო ენერგიულად ამოქმედნენ და სასამართლოში ჩივილით დაიმუქრნენ. ამით ავანტიურისტი ბრაზილიელი ბიზნესმენის ნება გატყდა. ფეხბურთელი მადრიდში გადავიდა. რობინიოს დებიუტი არც ისე შთამბეჭდავი გამოდგა, როგორც ამას ელოდნენ. გაბრწყინებაში მას ხელი შეუშალა ადაპტაციის პერიოდმა და მძიმე ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ, მწვრთნელების ხშირმა ცვლამ (პირველი სეზონის დასაწყისში მისი დამრიგებელი ლუქსემბურგო იყო, ხოლო დასასრულს **ლოპეს კარო**), ასევე უცნაურმა პოზიციამ სადაც უხდებოდა თამაში (რატომღაც მარცხენა ნახევარმცველად გაამწესეს). მოკლედ, მიზეზები მრავლად იყო. ყველაფრის ამის გათვალისწინებით, 37 თამაშში გატანილი 8 გოლი არ არის ცუდი შედეგი. ამას მოჰყვა გერმანიის მუნდიალი სადაც ის **რონალდოს** გვერდით თამაშობდა თავდასხმაში და სადაც თავი ვერაფრით გამოიჩინა.

ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც ნაკრებში **კარლოს დუნგა** დაინიშნა. მოსკოვის ცსკა-ს ფორვარდ **ვაგნერ ლავთან** ერთად, ის ეროვნული გუნდის თავდასხმაში დადგა და 2007 წლის კოპა ამერიკა ისე მოიგო. ერთი შეხედვით უცნაური წყვილი ერთობ ეფექტური აღმოჩნდა. ვაგნერის ნაკრებში მოხვედრა დუნგას ახირება არ ყოფილა. კოპაზე თამაში იუარეს **კაკამ** და **რონალდინიომ**, ხოლო რონალდოსა და **ადრიანოს** სათამაშო ფორმა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. რობინიომ 6 გოლი გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი შეიქმნა. ამით ფეხბურთელმა განაგრძო შთამბეჭდავი თამაშების სერია, რაც 2007 წლის იანვრიდან დაიწყო. დღეს **ბერნდ შუსტერის** არსენალში რობინიო ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო იარაღია. მიმდინარე სეზონში მან ერთის გარდა ყველა თამაში ძირითადში დაიწყო. მის ანგარიშზე 4 გოლი და 3 საგოლე პასია. *„მე თავის დროზე არ შევმცდარვარ როდესაც მადრიდი ავირჩიე,* - ამბობს თავდამსხმელი - *ის შესანიშნავი ქალაქი, ხოლო „რეალი“ კარგი გუნდი, სადაც საკუთარი თავი ვიპოვნე და, რაც მთავარია, აქ საოცარი სიმშვიდეა. აქ მე ბედნიერი ვარ.“*

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

LOYAL CAPITAL group
ქვარციტი QUARTZITE
BTA Silk Road Bank

მსოფლიო თასი 2011

# 20 გუნდის მონაწილეობით

IRB RUGBY WORLD CUP 2011 NEW ZEALAND

გუშინ IRB-ის ლონდონური ფორუმის მთავარი გადაწყვეტილება გახდა ცნობილი - 2011 წლის მსოფლიო თასზე ახალ ზელანდიაში კვლავ 20 ნაკრები იასპარეზებს. ასე რომ, მსოფლიო თასზე მონაწილეთა 16-მდე შემცირების საფრთხე, რომელიც ძალზე რეალური იყო, აცილებულია. ამ გადაწყვეტილების წყალობით „ბორჯღალოსნებისთვის" არ უნდა იყოს მიუღწეველი ზედიზედ მესამე მსოფლიო თასზე გასვლა. გადაწყდა, რომ წლევანდელ მსოფლიოს თასზე პირველ 12 ადგილზე გასული ნაკრებები ავტომატურად მოხვდნენ 2011 წლის მსოფლიო თასზე, მათ შორის საქართველოს ნაკრებთან ერთად პულში ჩარჩენილი ირლანდია, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა. სავარაუდოდ, დანარჩენ 8 საგზურს ე.წ. მსოფლიო ტროფი გასცემს, რომელიც 2010 წელს გაიმართება. საკვალიფიკაციო სისტემა და რეგიონთა კვოტები ჯერ არ არის შემუშავებული.

IRB-ის ფორუმზე იმსჯელეს მსოფლიო სერიის დაწესების შესახებაც, ექვსი ერის ნაკრებებს და სამი ერის (პლუს არგენტინა) გუნდებს შორის. ფორუმზე გადაწყდა, რომ მორაგბე სეზონის განმავლობაში მიიღებს გარანტირებულ 10-კვირიან დასვენებას, ტესტ-მატჩთა ლიმიტი წელიწადში გახდა 11, ინგლისის და საფრანგეთის პროფესიული ლიგები 31 მაისისთვის უნდა სრულდებოდეს, 2008 წლიდან დაწყებული ოთხი წლის განავლობაში უნდა მოხდეს არგენტინის ნაკრების სრული ინტეგრაცია მსოფლიო კალენდარში, უნდა ჩაიდოს ინვესტიციები განვითარებადი სარაგბო ქვეყნების ტურნირებში, სექტემბერ-ოქტომბერში მსოფლიო თასის დროს აუცილებლად უნდა იყოს ფანჯარა თავისუფალი და არ უნდა იმართებოდეს სხვა სახის ტურნირი. ფორუმის მტკიცებით არგენტინის მომავალი სამხრეთ ნახევარსფეროშია და არა ჩრდილოეთში, ასე რომ „პუმები" ექვსი ერის წევრები ველარ გახდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



საქართველოს ნაკრები წესით უპრობლემოდ უნდა მოხვდეს თავის მესამე მსოფლიო თასზე

FIRA AER-ის ასამბლეა

# პორტუგალიას 2 თებერვალს ვეთამაშებით

**საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მიმდინარეობს FIRA AER-ის ასამბლეა, სადაც მონაწილეობს საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი კოკა ლაზიშვილი. მას გუშინ პარიზში დავუკავშირდით და რაგბის ქომაგისთვის რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია გვამცნო.**

- FIRA AER-ის ასამბლეა, როგორც ცნობილია ყოველი წლის ბოლოს იმართება - გვითხრა **კოკა ლაზიშვილმა** - ტრადიციულად, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები განვლილი სეზონის შედეგებს აჯამებენ და სამომავლო გეგმებზე საუბრობენ. ცხადია, ერთ-ერთი თემა საქართველოს ნაკრების მსოფლიო თასზე ასპარეზობა იყო. ყველა გვილოცავდა და ცალსახად აღინიშნა, რომ FIRA AER-ის ქვეყნებიდან საქართველოს ნაკრები საუკეთესო იყო, რაც ყველასთვის ერთგვარი მოულოდნელობაც გახლდათ.

**- ასამბლეაზე როგორც ბრძანეთ, სამომავლო გეგმებიც ისახება, რა სიახლეები შეეხება ქართულ რაგბს?**

- სიახლე ისაა, რომ აქ უკვე მქონდა საუბარი ქართული გუნდის ევროთასებზე, კერძოდ ჩელენჯ კაპზე ასპარეზობის თაობაზე. რაზეც FIRA AER-მა დახმარება აღგვითქვა. მეტიც, გაუკვირდათ კიდეც რატომ აქამდე არ გამოთქვით სურვილიო. ამ დღეებში ამ გათამაშების კურატორს ჟან პიერ ლუქსის შევხვდებით და დეტალებზე ვისაუბრებთ. ჩელენჯ კაპზე ქართული კლუბის თამაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

**- ასამბლეაზევე უნდა დანიშნულიყო პორტუგალიასთან გამოტოვებული მატჩის თარიღი.**

- დიახ, მისი დანიშვნა ჩვენი და პორტუგალიის ფედერაციის პრეზიდენტის ურთიერთმოლაპარაკებაზე იყო დამოკიდებული. ჩვენ მატჩის გამართვის თარიღად 2 თებერვალი შევთავაზეთ და პორტუგალიელების თანხმობა მივიღეთ.

**- ცნობილი გახდა, რომ IRB-ის კონგრესმა მომავალ მსოფლიო თასზე მონაწილეთა რაოდენობა არ შეცვალა და ზელანდიაში ისევ 20 გუნდი იასპარეზებს. როგორი რეაქცია მოჰყვა ამას FIR AER-ში?**

- ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ეს ჩვენი ნაკრების კარგი თამაშის დამსახურებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდების რაოდენობის შემცირება გარდაუვალი იქნებოდა. ცხადია ჩვენც გახარებულნი ვართ. კარგია, რომ IRB-ის ახალმა ხელმძღვანელობამ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო. ვფიქრობ, გუნდების რაოდენობის შემცირება რაგბის საყოველთაოდ განვითარებას შეაფერხებდა. ახლა ეს საფრთხე აღარ გვემუქრება.

**- ამის მიუხედავად გაიმართება თუ არა ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე ჩელენჯ ტროფი ანუ მცირე მსოფლიო თასი, რომელიც ამასთან ერთად 2011 წლის მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირი იქნება?**

- ეს შეჯიბრება აუცილებლად გაიმართება. თუმცა დეტალები, რა გზით შეირჩევა ჩელენჯ ტროფის მონაწილეები, ჯერ უცნობია. გამორიცხული არაა ტურნირი საქართველოშიც გაიმართოს. თუმცა ამაზე საუბარიც ჯერ ნაადრევია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ძიუდო

# ხაბარელი ევროპის საუკეთესო მწვრთნელია

დღეს რომ ვარშავაში ევროპის აბსოლუტური პირველობა გაიმართება, არაერთხელ გაცნობეთ. სიმართლე გითხრათ, მის დამთავრებამდე ამაზე დაწერას არც ვაპირებდით, მაგრამ წუხელ ჩვენი ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** ისეთი ამბები გვამცნო, თქვენი მოწონებული!



შოთა ხაბარელი

წესისამებრ, ამ ტურნირამდე ევროპის ძიუდოს კავშირის კონგრესი გაიმართა, რომელსაც ჩვენი ძიუდოს ფედერაციის მესვეურები ვერ დაესწრნენ. ამიტომ მასზე საქართველო ხაბარელმა წარადგინა, რომელმაც ჯერ მილოცვები მიიღო, მერე კი ჩვენი ტურნირისთვის დიდი ბრძოლაც გადაიტანა. ჩვენდა სასიხარულოდ, ევროპული ძიუდო ფედერაციამ შოთა ხაბარელი ზედიზედ მეორედ დაასახელეს ევროპის საუკეთესო მწვრთნელად. აი, სწორედ ამის შემდეგ დასჭირდა ბრძოლა თბილისის საერთაშორისო ტურნირის პრესტიჟის დასაცავად.

სამწუხაროდ, ისევ განმეორდა ნაცნობი სცენარი და არა მხოლოდ ძიუდოდან ცნობილი - ევროპელთა ნაწილმა დაძაბული პოლიტიკური ვითარების მომიზეზებით საქართველოში ჩამოსვლა საშიშად მიიჩნია და კონგრესს თბილისის მსოფლიო თასის სხვაგან გადატანა სთხოვა. არადა, ეს შეჯიბრება სალიცენზიო სტატუსისაა და მისი ჩატარება პრესტიჟის საქმეა. არ გამოვრიცხავთ, მავანთ სწორედ ამ პრესტიჟულობის გამო მოინდომეს მისი წართმევა, მაგრამ ხაბარელმა ამ ბრძოლის პირველი რაუნდი მოიგო - თავის გამოსვლაში დაასაბუთა, რომ ეს შიში გადამეტებულია და ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა სტაბილურია. თუმცა ამით პრობლემა ბოლომდე არ მოგვარებულა - ევროპელები უსაფრთხოების გარანტიებს ხელისუფლებისგან ითხოვენ, ეს საკითხი კი ხაბარელის შესაძლებლობებს აღემატება. იმედია, ქვეყნის ხელისუფლება საგარანტიო წერილს უახლოეს დღეებში წარუდგენს ევროპის ძიუდოს კავშირს.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ევროპის აბსოლუტურ პირველობაზე ერთბაშად ხუთი ქართველი იჭიდავებს - **გიორგი ყიზილაშვილი, ლევან რაზმაძე, ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ვახტანგ ზოიძე**. ადრე ამ ტურნირში ქვეყნებს სამზე მეტი მონაწილის გამოყვანა არ შეეძლოთ, წლეულს კი ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით, ქართველებისადმი ასეთი შელავათი დაუშვეს. სასიამოვნო მოულოდნელობაა... მით უფრო რომ, ვთქვათ, საფრანგეთიდან მხოლოდ ერთი მოჭიდავეა მიწვეული.

**ირაკლი თავაძე**

## ციგურაობა

# ელენე ჯერ მეშვიდეა

ტოკიოში მიმდინარეობს ISU-ს გრან-პრის სერიის უკანასკნელი ტურნირი, NHK ტროფი, სადაც 17 წლის ქართველი მოციგურავე **ელენე გედევანიშვილი** გამოდის. თერთმეტმა მონაწილემ გუშინ მოკლე პროგრამა შეასრულა. როგორც ჩანს, ქართველმა სპორტსმენმა ვერ დახვეწა „კაბარეს" მუსიკის ფონზე თავისი გამოსვლა, რადგან მოკლე პროგრამაში იაპონიაშიც ცუდი შედეგი აჩვენა. პირველად ელენემ ახალი პროგრამა გრან-პრის პირველ ეტაპზე „სკეიტ ამერიკაზე" წარადგინა და 11 მონაწილეს შორის ბოლო ადგილზე გავიდა. ტოკიოში ასეთი კატასტროფული შედეგი არ ყოფილა, ელენემ პროგრამულ კომპონენტებში 24,92 ქულა მიიღო, რაც მეხუთე შედეგი იყო, თუმცა საერთო ჯამში 53,82 ქულით მხოლოდ მეშვიდე ადგილზე გავიდა. პირველ ადგილზე იტალიელი **კაროლინა კოსტნერი** გავიდა 61,24 ქულით, მეორეზე - მასპინძელი **მიკი ანდო** - 60,52, მესამეზე - შვეიცარიელი **სარა მაიერი** - 59,16. ელენეს საკმაო ქულები აშორებს მეოთხეადგილოსან ამერიკელ **ალისა შისნისთან** - 58,24. აი, **ნანა ტაკედას** და **ლაურა ლეპსიტოს** დაწევა სულაც არ ჩანს შეუძლებელი.



ელენე გედევანიშვილი

დღეს თავისუფალი პროგრამის ჯერია, ელენე მეხუთე გამოდის ყინულზე, ის დაასრულებს პირველი ჯგუფის ასპარეზობას, შესვენების შემდეგ კი საქმეში ლიდერთა ექვსეული ჩაერთვება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო | იუბილე

# ათგზის ფალავანი 80 წლისაა



ლავრენტი კაციაშვილი

გუშინ ქართულმა საჭიდაო ოჯახმა სახელოვანი შვილის იუბილე იზეიმა - **ლავრენტი კაციაშვილს** 80 წლის იუბილე გადაუხადეს. ჯერ წარმატებული სპორტსმენი, მერე კი კიდევ უფრო სახელოვანი მწვრთნელი 80 წლისა ცოტა ხნის წინ გახდა, მაგრამ იმ პერიოდში მეუღლე გარდაეცვალა და იუბილე ამიტომ გადაიდო.

ჭიდაობის ქომაგი ლავრენტი კაციაშვილს ძირითადად სამბოთი იცნობს, თუმცა მას, პრაქტიკულად, ყველა სახეობისადმი მიუძღვის წვლილი - ზოგან სპორტსმენის რანგში, ზოგან - სამწვრთნელო საქმიანობით. ამიტომაც შეიკრიბა გუშინ სპორტის დეპარტამენტში მთელი საჭიდაო სამყარო - სამბისტები, ძიუდოისტები, თავისუფალი და ანტიკური სტილით მოჭიდავეები, ქართული ჭიდაობის მესვეურნი... შესაბამისად, იუბილარმა ყველასგან მიიღო მილოცვა და სამახსოვრო საჩუქარი.

მიმლოცველებმა უამრავი ეპიზოდი გაიხსენეს იუბილარის ცხოვრებიდან. იმ მრავალთაგან მხოლოდ ერთს გაგაცნობთ, რომელიც კარგად ასახავს მის პიროვნებას. თურმე საგარეჯოში, რომელილაც ტურნირზე მასპინძლებს ჯერ თასის დამზადებაზე უზრუნიათ საგანგებოდ, მერე - თასის რაიონში მის დატოვებაზე. საამისოდ სახელდახელოდ აბსოლუტური პირველობაც ჩაუტარებიათ, რომ მძიმეში დამარცხებულ მათ ფალავანს ეგებ იქ მაინც ემარჯვა. თუმცა მხოლოდ ამას არ დასჯერებიან და კულისებში სავარაუდო მეტოქეებთან თუ მათ მწვრთნელებთანაც წაუმუშავებიათ. ცხადია, კაციაშვილთანაც მისულან, რადგან სწორედ მისი შეგირდი გახლდათ გამარჯვების უმთავრესი კანდიდატი. ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილა კაციაშვილი - ვერც მეგობრებს აწყენინებდა და აქეთ შეგირდებისაც რცხვენოდა, სულ გარიგებების წინააღმდეგ წასვლას ჩავჩიჩინებ და ახლა მე როგორ გავაკეთო იგივეო. მაგრამ იუმორით სავსე ადამიანს გამოსავალიც მალევე უპოვია - მასპინძლები დაუმუნათებია, თქვენი ფალავანი ისედაც მოუგებს ჩემსას და გაუშვით, იჭიდაონო. იმათაც დაუჯერებიათ, რაც მერე კი ინანეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო - კასპელმა ფალავანმა დამაჯერებლად მოიგო და ის ლამაზი თასიც ქართლის გზას გაუყენა, კაციაშვილი კი მერე თავს იმართლებდა, ზოგჯერ ასეთი ეშმაკობაც დასაშვებიაო.

ლავრენტი კაციაშვილი მართლაც ასეთი მიდგომებით გამოირჩეოდა - საქართველოს ათგზის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ასევე ათგზის ჩემპიონი სამბოში, არაერთი ტურნირის გამარჯვებული და ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი შეგირდებს არა მხოლოდ კარგ ფალავნებად, უპირველესად, რაინდებად ზრდიდა. ამის მაგალითს იგი თავად აძლევდა სხვებს თავისი ცხოვრების წესით. სწორედ ამიტომ იყო სამაგალითო პიროვნება და ამიტომაც აფასებდა ყველა. არ ვაჭარბებთ - იგი სახალხო გმირის სტატუსით სარგებლობდა, იმდენად ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ. მაგრამ ცხოვრებამ ბოლომდე მაინც არ გაახარა, როცა რამდენიმე წლის წინ შვილი, უკვე სახელმოხვეჭილი მწვრთნელი - შოთა გარდაეცვალა, თუმცა სულით ძლიერი ადამიანი ვერც ამ უზომო ტრაგედიამ გატეხა. ბევრი ვერც წლებმა დააკლეს და იგი ახლაც კი ძველებურად შრომობს საჭიდაო დარბაზში თუ საკუთარ კარ-მიდამოში. ღმერთმა შემართება და ენერგია ნუ მოაკლოს, „ლელო“ კი მასთან ერთად იუბილეს კიდევ ერთ სახელოვან ვეტერანს - **სიმონ მაისურაძესაც** ულოცავს, რომელიც დღეს ხდება 80 წლისა.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი


ვაჟა დანელია

პრეზენტაცია

# ევროპული ოდისეა

კლუბ "12 მაგიდაში", გუშინ გაიმართა ახალი ქართული საკალათბურთო წიგნის პრეზენტაცია, რომლის ავტორია ჩვენი კოლეგა **ვაჟა დანელია**. წიგნს "ევროპული ოდისეა" ჰქვია და ისტორიული შინაარსისაა.

რეზენტაციის დაწყებამდე, დარბაზში მყოფმა საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სამი დღის წინ გარდაცვლილი ცნობილი ვეტერანი კალათბურთელის – **ვალერი ალთაბაევის** ხსოვნას...

**ვაჟა დანელია:** - "ევროპული ოდისეა", ძირითადად ეძღვნება თბილისის "დინამოს" მიერ ჩემპიონთა თასის მოგებას 1962 წელს. Aმას გარდა, ალწერილია 1959 წელს, მომხდარი საინტერესო ფაქტი, როდესაც სამმა ქართველმა ხუთ ლატვიელს მოუგო და სხვა ამბები. წიგნის გამოცემაში დიდი დახმარება გამიწია საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა**, რისთვისაც მას მადლობას ვუხდი.

გურამ მინაშვილი: - ასეთი მშვენიერი წიგნის დაბადებას უფრო გრანდიოზული საზეიმო დღე ეკადრება. სამწუხაროდ, ახლახან დიდი დანაკლისი განვიცადეთ ვალერი ალთაბაევის სახით და დღეს ნაკლებად გვეზეიმება. Mმადლობა "ევროპული ოდისეის" ავტორს.

Iიქვე, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** ეროვნული ჩემპიონატის წლიური აბონემენტებით დააჯილდოვა 14 ვეტერანი კალათბურთელი: **გურამ მინაშვილი, ვაჟა ჟღენტი, დავით მაღალთაძე, ილარიონ ხაზარაძე, გურამ აბაშიძე, ანტონ კაზანჯიანი, ამირან სხიერელი, ილია ლეჟავა, რამაზ მანაგაძე, ანზორ საკანდელიძე, ვალერი ლომაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან მოსეშვილი** და **ვაჟა ქუთათელაძე**.

ქართული ჭიდაობა





ლევან მოსეშვილი და ნოდარ ქორქია

# აბსოლუტურსა და პრეზიდენტის თასზე

ამ უქმეებზე ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი ქართულ ჭიდაობას დაეთმობა - დღეს საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა ჩატარდება, ხვალ - „პრეზიდენტის თასის“ გუნდური გათამაშება რეგიონალური პრინციპით.

დღეს ტურნირი 12 საათზე დაიწყება და ფალავნობისთვის დაახლოებით 50-მდე მოჭიდავე იბრძოლებს. ტურნირი ცოტათი განსხვავებული სისტემით გაიმართება - 80 კილოგრამის ზევით ყველა ერთ წონით კატეგორიაში იჭიდავებს და არა ადრინდელივით ცალკეულ წონებში. ჩემპიონები ჯილდოდ 3 000 ლარს მიიღებენ, მეორე-მესამე პრიზიორები,შესაბამისად 2 000 და 1 000 ლარს.

„პრეზიდენტის თასთან“ დაკავშირებით საჩოთირო სიტუაცია შეიქმნა - მიხეილ სააკაშვილისადმი მიძღვნილი ტურნირი მისი გადადგომის დროს ტარდება. ამ შეჯიბრებას წინ რაიონული და რეგიონალური ტურნირები უძღოდა, რომელმაც მონაწილე გუნდები დააკომპლექტა. თასის გათამაშებაში ქვეყნის 13-ვე რეგიონის გუნდი გამოვა და იგი გუნდური, ეგრეთ წოდებული კედელი-კედელზე პრინციპით გაიმართება. იგი ოლიმპიური წესით ჩატარდება ანუ წაგებული შეჯიბრებას გამოეთიშება. ჯილდოები აქაცაა დაწესებული - 5 000, 3 000 და 2 000 ლარი. ამასთან, უკლებლივ ყველა გუნდი საჩუქრად ახალთახალ საჭიდაო ჩოხას მიიღებენ. თუმცა საგანგებოდ ამ ტურნირისთვის 1 200 ჩოხაა შეკერილი და მორჩენილი ასევე საჩუქრებად განაწილდება.

ამ ტურნირებს ნამდვილად დააკლდებიან ის ძიუდოისტები, რომლებიც დღეს ვარშავაში, ევროპის აბსოლუტურ პირველობაში იჭიდავებენ. მათგან რამდენიმე - **გიორგი ყიზილაშვილი, ადამ ოქრუაშვილი** და **ზვიად ხანჯალიაშვილი** ქართული ჭიდაობის ტურნირებში სისტემატურად ჭიდაობენ.

**ირაკლი თავაძე**


ვეტერანი კალათბურთელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ექს-ლეგიონერი

# სათა არა სჯობს, გათლა სჯობს

მიმდინარე სეზონი ლიტვის „ატლეტასში“ დაიწყო ახალგაზრდა გამთამაშებელმა ბექა წივწივაძემ. მან გუნდთან ერთად ლიტვის მეორე ლიგაში ათამდე მატჩი ჩაატარა და ურიგო სტატისტიკა არ ჰქონია, „მაჟეიკაისთან“ შეხვედრაში მან 31 წუთში 16 ქულა, 12 პასი და 5 მოხსნა გაიფორმა.

ერთი შეხედვით, კარგი დასაწყისი იყო, მაგრამ ვინც მეექვსე ტურში „ვითას“ შემადგენლობა წაიკითხა, წივწივაძის გვარს უთუოდ შენიშნავდა - ბექამ შუა სეზონში ლიტვიდან საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. კითხვაზე, რატომ? - თავად გვიპასუხებს:

- „ატლეტასიდან“ წამოსვლის მთავარი მიზეზი მწვრთნელი იყო. მან თავიდან შემამოწმა, მათამაშა და როცა დარწმუნდა, რომ მის გუნდს გამოვადგებოდი, ისეთი სახის კონტრაქტი შემომთავაზა, რომელზე ხელის მოწერაც არ შემეძლო. მანამდე ხელშეკრულების გარეშე მათამაშებდა და ეგონა, რომ შუა სეზონში შემოთავაზებულ ოთხწლიან კონტრაქტზე უარს არ ვეტყოდი. თავიდან ვუთხარი, იქნებ ცვლილება შეგვეტანა და 2+2 სახე მიგვეცა მეთქი, მაგრამ უარი მითხრა. ამიტომ კარიერის საქართველოში გაგრძელება გადავწყვიტე.

ცხადია, ბექა სწორად მოიქცა, ლიტვის მეორე ლიგაში 4 წლით თამაში შეიძლება ნათელი პერსპექტივა არ იყოს. მას თვალი ისევ უცხოეთისკენ უჭირავს და ამ სეზონის შემდეგ დასავლეთისკენ აპირებს გამგზავრებას, ოღონდ არა ლიტვაში.

- ლიტველები კარგი ხალხია, მაგრამ იქაურ მწვრთნელებს ერთი უარყოფითი თვისება ახასიათებთ - ლეგიონერი ლიტველს რომც სჯობდეს, მაინც ადგილობრივებს ანიჭებენ უპირატესობას. ეს საკუთარ თავზე მეც გამოვცადე. მსგავს სიტუაციაშია ნოდარ შენგელია, რომელიც მარჩულიონისის „აკადემიაში“ ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ მწვრთნელი ბოლომდე არ ენდობა. სხვათა შორის, სხვაგვარი სიტუაციაა ლატვიაში, სადაც ლიტვასთან შედარებით გაცილებით მეტი ლეგიონერია და სამართლიანადაც ექცევიან.

ბექას სიტყვების სიმართლეში შარშანდელი მაგალითიც დაგვარწმუნებს - გასულ სეზონში კადეტთა ნაკრებში წივწივაძის თანაამპლუელი გიორგი გაფრინდაშვილი „რიგაში“ საშუალოდ 30 წუთს თამაშობდა. სხვათა შორის, ლატვიაში გადასვლის კარგი შანსი ჰქონდა თავად ბექა წივწივაძეს, მაგრამ აგენტმა ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტი ჩაუშალა...

- სეზონის დასაწყისში ლატვიის „ბარონსში“ ვვარჯიშობდი. კონტრაქტზე ხელის მოწერის წინ ერთი საკონტროლო მატჩი ეფექტურად ჩავატარე და... ასე რომ არ მეთამაშა, შეიძლება უკეთესიც ყოფილიყო, რადგან ჩემმა აგენტმა იმ შეხვედრის შემდეგ მისაღები თანხა გაბერა და ხელშეკრულებაც ვერ გაფორმდა. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ისევ ლატვიაში აღმოვჩნდე. მანამდე „ვითაში“ ვითამაშებ და ვეცდები, რომ ამ გუნდთან ერთად რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე ავიდე. ამის რეზერვი ნამდვილად გვაქვს.

ბექამ „ვითას“ შემადგენლობაში ორი მატჩის ჩატარება მოასწრო. ჯერ თსუ-ს 5 ქულა ჩაუგდო, შემდეგ „აზოტთან“ 10 ქულა და 3-3 ჩაჭრა-პასი მიითვალა.

ვაჟა სიმონიშვილი



ნუგზარ სუარიძის ფოტო

პრესკონფერენცია

# ჭეიშვილის კურიოზი

ხვალ, საკალათბურთო სუპერლიგის მორიგი ტურია, რომლის ცენტრალური მატჩი შედგება თსუ-სა და "აზოტს" შორის. აღნიშნული შეხვედრა სპორტის სასახლეში 13:30 საათზე დაიწყება. ცენტრალური მატჩის მონაწილე გუნდების მწვრთნელ-კალათბურთელებმა, გუშინ ტრადიციული პრესკონფერენცია გამართეს.

მიხეილ ბერუაშვილი, "აზოტის" მწვრთნელი: - ჩვენს გუნდში თითქმის ყველაფერი რიგზეა. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ტრავმირებულია სტეფანოვი, რომელიც კვირას ვერ დაგვეხმარება. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ. ჩვენ აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ და ვცდილობთ, ყველა მათგანს მაქსიმალურად მივცეთ თავის გამოჩენის შანსი.

ჟულიეტ ტუჯანი, "აზოტის" კალათბურთელი: - ლუქსემბურგში ყოფნის გამო, სეზონის დასაწყისი გამიცდა და მხოლოდ წინა ტურში შედგა ჩემი ხელმეორე დებიუტი საქართველოს ჩემპიონატში. კარგ ფორმაში ვარ და თსუ-სთან მატჩს მოუთმენლად ველი.

ნუგზარ ჭეიშვილი, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი: - გაკვირვებას ვერ ვმალავ წინა ტურში, "დინამოსთან" მომხდარი ფაქტის გამო. როდესაც ნამატჩევს ტექნიკურ ოქმს ჩავხედე, სახტად დავრჩი – მეტოქეს ვაჯობეთ ორქულიანებშიც, სამქულიანებშიც, მოხსნებშიც და ერთით ნაკლები ჯარიმაც მივიღეთ. მიუხედავად ამისა, მაინც წავაგეთ. ასეთ კურიოზს ცხოვრებაში პირველად გადავაწყდი.

"აზოტი" ობიექტურად ჩვენზე ძლიერი გუნდია და შევეცდებით, მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ. შანსებს ათი ოთხმოცდაათზე ვაფასებ რუსთაველთა სასარგებლოდ.

რიჩარდ მათიაშვილი, თსუ-ს კალათბურთელი: - შევეცდებით, "აზოტს" ფარზე მოვუგოთ. ტრავმების გამო, გვაკლია ორი ლიდერი – ირაკლი კეიდია და სიო ხეცურიანი. სხვა რა გზაა, როგორმე მათ გარეშე უნდა გავიდეთ ფონს.

კოკა ხატისაშვილი

ჩოგბურთი

# ქართული მეოთხედფინალი არ შედგა



მანანა შაფაქიძე

ესპანურ ქალაქ კასტელონში ვალდე უხოს კორტებზე არ შედგა ქართული მეოთხედფინალი, არადა ამის ალბათობა დიდი იყო, **მანანა შაფაქიძეს** და **სოფიო ქვაცაბაიას** მერვედფინალში რეიტინგით მათზე სუსტი მეტოქეები ჰყავდათ, მოგების შემთხვევაში კი სინი ერთამენთს დაუპირისპირდებოდნენ. მე-8 ნომერად განთესილმა მანანა შაფაქიძემ ორ სეტში დაამარცხა სლოვენიელი **ტაია მოჰორჩიჩი** - 6:4, 6:1. სოფიო ქვაცაბაია კი 15 წლის რუს **ანა მარენკოსთან** დამარცხდა - 0:6, 5:7. ასე რომ, ახლა მეოთხედფინალში შაფაქიძეს შურისძიება მოუწევს თანამემამულის დამარცხებისთვის.

# წარმატება ედი ჰერზე

15 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 18-წლამდელთა ჩოგბურთელთა მსოფლიოს რეიტინგში 342-ე პოზიციაზეა. ნიკა ახლა ამერიკაშია, სადაც ედი ჰერის პირველი კატეგორიის ტურნირში თამაშობს, ქართველი 16 წლამდელთა ტურნირში მე-14 ნომრად განთესეს. მერვედფინალში მისი მეტოქე **ფედერიკო გაიო** იყო, ბასილაშვილმა 7:5, 6:4 იმარჯვა. ედი ჰერის ტურნირის მეოთხედფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილის მეტოქე 16 წლის მექსიკელი **ხერმან სანჩესი** იქნება.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ნიკოლოზ ბასილაშვილი



NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სამარცხვინო ნიქსი

ახლა რაღა მიზეზს მოიტანს "ნიქსის" მთავარი მწვრთნელი **აიზია ტომასი**? რით გაიმართლებს თავს უთავმოყვარეო გუნდის ერთ-ერთი ბოსი, რომელიც მორიგი სამარცხვინო შეხვედრის შემდეგ თანამდებობიდან დათხოვნის ურეალურეს კანდიდატად იქცა?!

"ნიქსი" რომ ძირფესვიანადაა გადასახალისებელი. **ზაკ რენდოლფის** საამსეზონოდ დამატება ფუჭი გამოდგა, რადგან ეს ნიჭიერი ახალგაზრდა არასოდეს ყოფილა გუნდური მოთამაშე და წინა პლანზე ყოველთვის პირად ინტერესებს აყენებდა.

"ბოსტონისგან" გვემა მოსალოდნელი კი იყო, მაგრამ "ნიქსის" ასეთი კატასტროფული სხვაობით წაგების პროგნოზირება ცოტა გვიჭირდა.

"სელტიქსს" და ტომასის გუნდს შორის დიდი უფსკრულია და თუ "ბოსტონის" ბოსს **დენი ეინჯს** რისკმა გაუმართლა და ძვირადღირებული ტრიო, ანუ **გარნეტი-ალენი-პირსი** ყველას და ყველაფერს ბრდღვნიან, "ნიქსის" მილიონერი ვარსკვლავები ერთ ადგილს ტკეპნიან და პროგრესი არ ჩანს.

სტუმართა სათადარიგო გამთამაშებელ **ნეიტ რობინსონს** საფინალო სირენასთან ერთად ცენტრიდან სამიანი რომ არ ჩაეგდო, "ნიუ იორკი" თავის მდიდარ ისტორიაში ყველაზე ნაკლებ ქულას მოუყრიდა თავს.

*"რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, თითქმის 50 ქულის სხვაობით დავმარცხდით. წაგების შემდეგ ყოველთვის გაბოროტებული ვარ, ახლა კი არავის დანახვა არ მსურს"*, - ამბობდა ნამატჩევს "ნიქსის" ვარსკვლავი ფლეიმეიქერი **სტეფონ მარბერი**, რომელმაც "ბოსტონთან" მატჩი 20 წუთში 4 ქულითა და 3 შეცდომით დაასრულა.

"ბოსტონის" ისტორიაში კი, ეს მოგება სხვაობის სიდიდით მეექვსე გამოდგა. ასეთი დიდი ანგარიშით "სელტიქსს" ოპონენტი 1970 წლის მერე არ დაუმარცხებია . მაშინ გუნდმა "ბალტიმორ ბულეტსი" 153:107 გაანადგურა.

"სელტიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **დოკ რივერსმა** დიდი სამეულის წევრები მაქსიმალურად შეინახა გამთენიისას "მაიამის" წინააღმდეგ გასამართი მატჩისთვის. გარნეტს მესამე მეოთხედის შუაწელიდან არ უთამაშია და ბოლო სამი რეგულარულის განმავლობაში, სულ რაღაც მეორედ ვერ გადალახა 10-ქულიანი ზღვარი.

**ბოსტონი-ნიუ იორკი 104:59**

27:16, 27:15, 28:10, 22:18

**ბოსტონი:** პირსი (21 ქ. 8 მ. 4 პ), რ. ალენი (21 ქ. 5 მ. 3 პ), ე. ჰაუსი (15 ქ. 3 პ. 3 ჩ), გ. დევისი (13 ქ), რონდო (10 ქ. 7 მ), გარნეტი (8 ქ. 11 მ. 4 პ).
**ნიუ იორკი:** ნ. რობინსონი (11 ქ).

**ლეიკერსი-დენვერი 127:99**

21:33, 34:24, 26:18, 46:24

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (24 ქ. 7 პ. 6 მ), ვუიაჩიჩი (22 ქ), უოლტონი (14 ქ. 4 პ. 3 ჩ), ოდომი (12 ქ), ბინუმი (12 ქ. 13 მ), ფარმარი (10 ქ. 5 მ. 4 პ), ფიშერი (10 ქ. 2 ჩ).
**დენვერი:** ენტონი (23 ქ. 2 ჩ), აივერსონი (21 ქ. 6 პ. 3 ჩ), კლეიზა (15 ქ), კემბი (11 ქ. 9 მ. 3 დ. 2 ჩ).

**გოლდენ სტ-ჰიუსტონი 113:94**

29:24, 30:26, 24:18, 30:26

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (27 ქ. 8 პ. 5 მ. 5 ჩ), ს. ჯექსონი (19 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), მ. ელისი (18 ქ. 10 მ), ე. ჰარინგტონი (18 ქ. 5 მ. 2 ჩ), ბიედრინსი (9 ქ. 10 მ. 2 პ).
**ჰიუსტონი:** მ. ჯეიმსი (19 ქ), უელსი (13 ქ. 5 მ. 5 პ), მაკგრეიდი (11 ქ. 6 პ), მინი (10 ქ. 7 მ. 3 დ), სკოლა (9 ქ. 9 მ. 2 ჩ).

## NBA. დეკემბრის კალენდარი

**1 დეკემბერი**
ვაშინგტონი-ტორონტო
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
ნიუ ორლეანი-დალასი
მემფისი-მინესოტა
ჩიკაგო-შარლოტი
მილუოკი-დეტროიტი
საკრამენტო-ჰიუსტონი

**2 დეკემბერი**
ბოსტონი-კლივლენდი
კლიპერსი-ინდიანა
სან ანტონიო-პორტლენდი
დეტროიტი-ნიუ ჯერსი
ნიუ იორკი-ფინიქსი
დენვერი-მაიამი
სიეტლი-გოლდენ სტეიტი
ლეიკერსი-ორლანდო

**3 დეკემბერი**
ფილადელფია-ატლანტა
ტორონტო-შარლოტი
მემფისი-პორტლენდი
ჩიკაგო-დალასი
იუტა-მაიამი
გ. სტეიტი-ორლანდო

**4 დეკემბერი**
ატლანტა-დეტროიტი
კლივლენდი-ნიუ ჯერსი
ინდიანა-ფინიქსი
მინესოტა-ლეიკერსი
საკრამენტო-იუტა
კლიპერსი-მილუოკი

**5 დეკემბერი**
ფილადელფია-ბოსტონი
ვაშინგტონი-კლივლენდი
ტორონტო-ფინიქსი
შარლოტი-ჩიკაგო
ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი
ნიუ ორლეანი-დეტროიტი
ჰიუსტონი-მემფისი
სან ანტონიო-დალასი
დენვერი-ლეიკერსი
გოლდენ სტეიტი-მილუოკი
სიეტლი-კლიპერსი

**6 დეკემბერი**
ატლანტა-მინესოტა
დალასი-დენვერი
პორტლენდი-მაიამი

**7 დეკემბერი**
დეტროიტი-ჩიკაგო
ორლანდო-ინდიანა
ფილადელფია-ნიუ იორკი
ვაშინგტონი-ფინიქსი
ბოსტონი-ტორონტო
ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი
ნიუ ორლეანი-მემფისი
სან ანტონიო-იუტა
საკრამენტო-კლიპერსი
გოლდენ სტეიტი-მაიამი

**8 დეკემბერი**
ატლანტა-მემფისი
შარლოტი-კლივლენდი
ნიუ იორკი-ფილადელფია
მინესოტა-ფინიქსი
ჩიკაგო-ბოსტონი
დალასი-იუტა
დენვერი-საკრამენტო

**9 დეკემბერი**
ტორონტო-ჰიუსტონი
კლიპერსი-მაიამი
დეტროიტი-შარლოტი
პორტლენდი-მილუოკი
ნიუ ორლეანი-სიეტლი
ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი
ლეიკერსი-გ. სტეიტი

**10 დეკემბერი**
ორლანდო-ატლანტა
ფილადელფია-ჰიუსტონი
ნიუ იორკი-დალასი
ფინიქსი-მაიამი
საკრამენტო-მილუოკი

**11 დეკემბერი**
ატლანტა-ტორონტო
კლივლენდი-ინდიანა
ვაშინგტონი-მინესოტა
ნიუ ჯერსი-კლიპერსი
მემფისი-დეტროიტი
ჩიკაგო-სიეტლი
იუტა-პორტლენდი
გ. სტეიტი-სან ანტონიო

**12 დეკემბერი**
ინდიანა-ჩიკაგო
ფილადელფია-მინესოტა
ტორონტო-დალასი
შარლოტი-კლიპერსი
ბოსტონი-საკრამენტო
ნიუ იორკი-სიეტლი
ჰიუსტონი-დეტროიტი
მილუოკი-ორლანდო
დენვერი-ნიუ ორლეანი
პორტლენდი-გ. სტეიტი
ფინიქსი-იუტა

**13 დეკემბერი**
მაიამი-ვაშინგტონი
ლეიკერსი-სან ანტონიო

**14 დეკემბერი**
ინდიანა-ტორონტო
ფილადელფ-საკრამენტო
შარლოტი-ორლანდო
ბოსტონი-მილუოკი
დეტროიტი-ატლანტა
მინესოტა-სიეტლი
ნიუ ჯერსი-კლივლენდი
მემფისი-კლიპერსი
ჩიკაგო-ნიუ იორკი
დალასი-ნიუ ორლეანი
პორტლენდი-იუტა
გ. სტეიტი-ლეიკერსი

**15 დეკემბერი**
ატლანტა-შარლოტი
ორლანდო-მემფისი
ვაშინგტონი-საკრამენტო
კლივლენდი-ფილადელფია
მაიამი-ინდიანა
ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი
ნიუ ორლეანი-ფინიქსი
ჰიუსტონი-დალასი
მილუოკი-მინესოტა
სან ანტონიო-დენვერი
იუტა-სიეტლი

**16 დეკემბერი**
დეტროიტი-გ. სტეიტი
ტორონტო-ბოსტონი
დენვერი-პორტლენდი
ლეიკერსი-კლიპერსი

**17 დეკემბერი**
ატლანტა-იუტა
კლივლენდი-მილუოკი
მაიამი-მინესოტა
ნიუ იორკი-ინდიანა
მემფისი-გოლდენ სტეიტი
დალასი-ორლანდო
სან ანტონიო-ფინიქსი
პორტლენდი-ნიუ ორლეანი

**18 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-საკრამენტო
ჩიკაგო-ლეიკერსი
კლიპერსი-ტორონტო

**19 დეკემბერი**
ატლანტა-მაიამი
ინდიანა-ფილადელფია
ვაშინგტონი-ჩიკაგო
შარლოტი-იუტა
ბოსტონი-დეტროიტი
ნიუ იორკი-კლივლენდი
მილუოკი-საკრამენტო
მინესოტა-გოლდენ სტეიტი
მემფისი-სან ანტონიო
ჰიუსტონი-ორლანდო
დალასი-ფინიქსი
პორტლენდი-ტორონტო
სიეტლი-ნიუ ორლეანი

**20 დეკემბერი**
მაიამი-ნიუ ჯერსი
კლივლენდი-ლეიკერსი
დენვერი-ჰიუსტონი

**21 დეკემბერი**
ბოსტონი-ჩიკაგო
ორლანდო-იუტა
ფილადელფია-ლეიკერსი
ვაშინგტონი-ატლანტა
შარლოტი-ნიუ იორკი
დეტროიტი-მემფისი
მინესოტა-ინდიანა
დალასი-კლიპერსი
პორტლენდი-დენვერი
სიეტლი-ტორონტო

**22 დეკემბერი**
ინდიანა-ვაშინგტონი
მაიამი-იუტა
ნიუ ჯერსი-გ. სტეიტი
ნიუ ორლეანი-მინესოტა
მემფისი-ფილადელფია
ჩიკაგო-ჰიუსტონი
მილუოკი-შარლოტი
სან ანტონიო-კლიპერსი
ფინიქსი-ტორონტო

**23 დეკემბერი**
ნიუ იორკი-ლეიკერსი
კლივლენდი-გ. სტეიტი
დეტროიტი-ჰიუსტონი
ბოსტონი-ორლანდო
საკრამენტო-დენვერი

**25 დეკემბერი**
კლივლენდი-მაიამი
ლეიკერსი-ფინიქსი
პორტლენდი-სიეტლი

**26 დეკემბერი**
ფილადელფია-მაიამი
ატლანტა-ინდიანა
